პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 180 (20521) — შაბათი, 5 აგვისტო, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

# მიმართვა

## რესპუბლიკის კომუნისტებს, ყველა მშრომელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმთან დაკავშირებით

**საქართველოს** კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს თავისი მორიგი პლენუმის წინ სურს მიაპყროს რესპუბლიკის კომუნისტთა, ყველა მშრომელის ყურადღება საკითხებს, რომელთა გამო უნდა მივიღოთ მნიშვნელოვანი და პასუხსაგები გადაწყვეტილებანი.

თუ საფუძვლიანად, ალალმართლად არ გავაანალიზეთ რესპუბლიკური პარტორგანიზაციის მუშაობა საგანგებო პირობებში, რომლებშიც კომუნისტებს ამ უკანასკნელ ხანს უწევდათ მოქმედება, იოლად ვერ გავალთ, თუ ნამდვილად გვინდა შევაჩეროთ არასასურველი ტენდენციების განვითარება.

საქმე უწინარეს ყოვლისა ეხება რესპუბლიკაში პოლიტიკური ვითარების შემდგომი ნორმალიზაციის, სოციალურ სფეროში, საზოგადოების განწყობილებაში დაძაბულობის შენელების გზების ძიებას, ურომლისოდაც შეუძლებელია დემოკრატიზაციის პროცესების გაღრმავება, ეკონომიკური რეფორმების დაჩქარება.

ცდება ის, ვინც ყველაფერს გარდაქმნას აბრალებს. პირიქით, პირდაპირი შეტაკებები და ძალადობა ხდება იქ, სადაც ნელა მიმდინარეობს გარდაქმნის პროცესები, ფერხდება დემოკრატიული განახლება, სადაც ნამდვილ საჯაროობას ჯერ კიდევ არ გაუკვალავს გზა, სადაც არ არის აზრთა ჭეშმარიტი პლურალიზმი და მოქმედების ერთიანობა.

ამ პოზიციებიდან დღეს შესაძლებლობა გვაქვს უფრო ობიექტურად გავერკვეთ აპრილის ტრაგედიის მიზეზებში იმ დიდი მუშაობის გათვალისწინებით, რომელიც გასწიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე შექმნილმა კომისიებმა, პრინციპული პოლიტიკური შეფასება მივცეთ ქვემო ქართლის რაიონებში, აფხაზეთში, მთელ რიგ სხვა რეგიონებში მომხდარ ამბებს, აგრეთვე კომუნისტთა მოქმედებას, სერიოზულ ნაკლოვანებებს ბევრი პარტიული ორგანიზაციისა და კომიტეტის ორგანიზატორულ, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და საკადრო მუშაობაში.

ამავე დროს, ჩვენი აზრით, საფუძვლიან განსჯას მოითხოვს ის ფაქტიც, რომ გამწვავებულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა სიტუაციამ გარკვეულწილად დააჩქარა განახლების პროცესები რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში, ხელი შეუწყო ზოგიერთი პრიორიტეტისა და ღირებულების გადაფასებას. ბევრი კომუნისტის, პარტიული მუშაკის მუშაობაში მკვიდრდება ახალი სტილი და მეთოდები, მთელ საზოგადოებრივ ძალებთან პოლიტიკური დიალოგის ფორმა, როგორც ოპონენტთა დარწმუნების, მომწიფებულ საკითხთა ერთობლივი გადაწყვეტის ერთადერთი საშუალება.

რა თქმა უნდა, ამის შედეგიც იყო, რომ მივაღწიეთ ვითარების შედარებით სტაბილიზაციას „ცხელ წერტილებში" ისე, რომ არ მიგვიმართავს უკიდურესი ზომებისათვის, რომლებსაც შეეძლო დემოკრატიული განვითარების გზიდან ავეცდინეთ.

დასაბამი მიეცა პრობლემების პრაქტიკულ გადაჭრას, რომლებიც წლების მანძილზე ყოვლად გაუმართლებელი ბიუროკრატიული შეზღუდვებისა და აკრძალვების მარწუხებში იყო. რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში საზოგადოებრიობის მონაწილეობით მუშავდება მთელი პაკეტი ახალი პროგრამებისა და დებულებებისა, მათ შორის რესპუბლიკის მოქალაქის სტატუსის, საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საკავშირო კანონმდებლობის მოქმედების, ეროვნული საჯარისო ფორმირებების, საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების შესახებ და ბევრი სხვა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ფართო განხილვისათვის გამოაქვეყნა საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფციის პროექტი.

მთავრდება მუშაობა ეროვნული განვითარების შესახებ რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის პროგრამის პროექტზე, რომელშიც პრაქტიკულად ხორცს შეისხამს ხალხის ბევრი ეროვნული მისწრაფება. ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა უნდა დაამტკიცოს და საზოგადოებრივი განხილვისათვის რეკომენდაცია მისცეს ამ კონცეფციის პროექტს.

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, სწორი მიმართულებით გადავდგით თუ არა პირველი ნაბიჯები, მიგვიყვანს თუ არა ეს გზა სამოქალაქო თანხმობისა და ეროვნული კონსოლიდაციის ტაძრამდე, ურომლისოდაც ძნელია ვიქონიოთ გარდაქმნისა და დემოკრატიული განახლების წინსვლის იმედი.

პლენუმზე დამატებითი იმპულსი უნდა შეიძინოს შინაპარტიული დემოკრატიის გაფართოების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის სტილისა და მეთოდების გარდაქმნის პროცესებმაც. სავსებით ცხადია, რომ პოლიტიკური მუშაობის არსენალიდან ბევრი რამ საბოლოოდ უნდა მოვიშოროთ თავიდან, უკუვაგდოთ ის, რაც ხელს გვიშლის ვიყოთ უფრო ახლო ადამიანებთან, ხალხის რეალურ საზრუნავთან. უამისოდ ძნელია წარმატების იმედი ვიქონიოთ.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან არა მარტო ფეხს უწყობდნენ დროს, საზოგადოებრივი შეგნების განვითარების დონეს, არამედ უსწრებდნენ კიდეც მათ, ხელიდან არ უშვებდნენ ინიციატივას, რითაც ისარგებლებდნენ ძალები, რომლებსაც არ სურთ ცვლილებები, პარტიული აქტივისადმი ნდობის აღდგენა.

ამასთან დაკავშირებით უნდა ვიფიქროთ, თუ რა უნდა გაკეთდეს პრაქტიკულად იმისათვის, რომ პარტიული კომიტეტების, კომუნისტების პოზიცია მუდამ და ყველაფერში იყოს აქტიური, რომ ყოველდღე ყველაზე მოულოდნელ და არასტანდარტულ სიტუაციებში ვაღწევდეთ თუნდაც მცირე, მაგრამ მაინც გამარჯვებებს.

როგორ მივაღწიოთ იმას, რომ პარტიულ ორგანიზაციებს სათავეში ჩაუდგნენ ადამიანები, რომლებსაც კომუნისტთა და უპარტიოთა შორის რეალური ავტორიტეტი აქვთ?

სად არის ის ბერკეტი, რომლითაც შევძლებთ რეალურად უზრუნველვყოთ პარტიული და სამეურნეო ორგანოების ფუნქციათა გამიჯვნა, ავამაღლოთ საბჭოებში, სამეურნეო ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მომუშავე კომუნისტთა პასუხისმგებლობა?

ვინ უნდა აგოს პასუხი იმისათვის, რომ პრობლემები, რომლებიც რეალურ ცხოვრებაში წამოიჭრება, უფრო სწრაფად შევნიშნოთ და გავაანალიზოთ პარტიულ ორგანიზაციებსა და კომიტეტებში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, და უკუკავშირის საფუძველზე რეკომენდაციებისა და რჩევა-დარიგებების სახით მიდიოდეს პარტიულ ორგანიზაციებში?

ამ და ბევრ სხვა კითხვაზე ყველამ უნდა ვუპასუხოთ მომავალი პლენუმის დროს.

სჯა-ბაასი შეეხება არა მარტო კონკრეტულ ადამიანებს, კომუნისტებს, მომწიფებულ საკადრო ცვლილებებს, არამედ უფრო თანამედროვე პირობებში საკადრო მუშაობის ზოგად კონცეფციასაც, იმის საჭიროებას, რომ ვაწარმოოთ იგი პარტიულად, დემოკრატიულად, რათა კვლავაც არ მოგვივიდეს შეცდომები. ეს, რა თქმა უნდა, როდი ნიშნავს, რომ პლენუმზე სერიოზულად არ განვიხილავთ საკითხს პარტიულ კომიტეტებში. მათ შორის ცენტრალურ კომიტეტში, ცენტრალური კომიტეტის ბიუროს შემადგენლობაში მომუშავე ცალკეულ კომუნისტთა მინდობილი საქმისადმი დამოკიდებულების, მათი იმ უნარის შესახებ, რომ გაიყოლიონ და დაარწმუნონ ადამიანები, იკისრონ ახალი მოვალეობანი.

გვესმის, რომ ყველა ამ პრობლემის გადაწყვეტა ერთი პლენუმის ფარგლებში შეუძლებელია, მაგრამ ბჭობას დასაბამი უნდა მიეცეს სწორედ ახლა, პარტიაში საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის, ადგილობრივი საბჭოების არჩევნების წინ, რასაც თან ახლდება პარტიის საქმიანობის რეფორმირება, პარტიული და სახელმწიფო აპარატის გაწმენდა სახელგატეხილი და უუნარო მუშაკებისაგან, ბევრი დაუმსახურებელი პრივილეგიისა და შეღავათის ლიკვიდაცია. ზოზინის დრო არა გვაქვს და არც გვექნება.

მოვუწოდებთ რესპუბლიკის კომუნისტებს, უპარტიოებს, ჩვენს ინტელიგენციას, ახალგაზრდობას, მშრომელებს, ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და მოძრაობის წარმომადგენლებს ჩაერთონ მომავალი პლენუმისათვის მზადებაში, და იმედი გვაქვს, რომ გამოვძებნით ისეთ გადაწყვეტებს, რომლებიც მკვეთრად გაააქტიურებს შინაპარტიულ ცხოვრებას, გააძლიერებს საქართველოს კომპარტიის გავლენას რესპუბლიკაში გარდაქმნის მიმდინარეობაზე, განამტკიცებს პარტიის, როგორც საზოგადოების პოლიტიკური ავანგარდის ავტორიტეტს, შესაძლებლობას მოგვცემს საფუძველი ჩავუყაროთ საქართველოს კომპარტიისა და რესპუბლიკის საზოგადოებრიობის პრინციპულად ახალ ურთიერთობას, რომელიც დაფუძნებული იქნება სრულ ნდობასა და მჭიდრო თანამშრომლობაზე.

ველით თქვენს მოსაზრებებს, წინადადებებს, შენიშვნებს, კითხვებს, რომლებიც შეგიძლიათ გამოუგზავნოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, სადაც მათ ოპერატიულად გააანალიზებენ და განაზოგადებენ პლენუმის დოკუმენტების მომზადების პროცესში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მიმართავს თქვენს მოვალეობის გრძნობას, ელის გაგებასა და მხარდაჭერას, რჩევასა და დახმარებას ამ რთულ, ძნელ, მაგრამ ყველა ჩვენგანისათვის ფრიად მნიშვნელოვან საქმეში, უწინარეს ყოვლისა, კონკრეტულ პრაქტიკულ საქმეებში, საზოგადოების რევოლუციური განახლებისათვის ძალისხმევის გაძლიერებაში.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი**

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

**შემდეგ** უმაღლესი საბჭო განიხილავს კანონპროექტს სსრ კავშირის კანონებისა და სხვა იმ აქტების გამოქვეყნების და ძალაში შესვლის შესახებ, რომლებსაც იღებენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო და მათი ორგანოები. კანონპროექტი შემოიტანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა.

მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ **რ. ნ. ნიშანოვმა**.

დემოკრატიზაციის, საჯაროობის, სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების პირობებში, აღნიშნა მან, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დროულ, სრულ და უტყუარ ინფორმაციას მიღებული ნორმატიული აქტების შესახებ. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებები, საკანონმდებლო აქტები ხომ საბჭოთა ხალხის ნებას გამოხატავენ, განსაზღვრავენ გარდაქმნის პროცესში ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული ცვლილებების განხორციელების ამოცანებს, გზებსა და საშუალებებს, ადგენენ მართლწესრიგს, რომლის დროსაც განსაკუთრებით სრულად შეიძლება იქნეს რეალიზებული მასების ინიციატივა და შემოქმედება, საბჭოთა მოქალაქეების კანონიერი უფლებები და ინტერესები.

ფართოდ იყო წარმოდგენილი ყრილობის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის საქმიანობა პრესაში. ალბათ, არ არის გამოცემა, რომელსაც იგი არ აესახოს.

სადღეისოდ გამოშვებულია ყრილობისა და სესიის სპეციალური ბიულეტენების 64 ნომერი. გამოსაცემად მზადდება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მუშაობის სტენოგრაფიული ანგარიში, იგეგმება სსრ კავ-[illegible]

კანონები ერთდროულად შედის ძალაში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე 10 დღეში მას შემდეგ, რაც ისინი გამოქვეყნდება „უწყებებსა" ან „იზვესტიაში", თუ მათი მიღებისას არ ყოფილა დადგენილი სხვა ვადა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აქტები, რომლებსაც არა აქვთ ზოგადი მნიშვნელობა, შეიძლება არ გამოქვეყნდეს და. მხოლოდ გაეცნოს დაწესებულებებს ან პირებს, რომლებსაც ისინი ეხება.

სხდომის თავმჯდომარემ **ე. მ. პრიმაკოვმა** სიტყვა თანამოხსენებისათვის მისცა კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს **ს. ს. ალექსეევს**.

ს. ს. ალექსეევმა აღნიშნა განსახილველი საკითხის დიდი მნიშვნელობა, მისი როლი ჩვენს სამართლებრივ სახელმწიფოში და ხაზი გაუსვა, რომ არსებითად ეს დოკუმენტი განსაზღვრავს იმ კანონების ცხოვრებას, რომლებმაც უმაღლეს საბჭოში უნდა გაიაროს.

განსახილველი საკითხის გამო წინადადებებით, შენიშვნებითა და ახსნა-განმარტებით გამოვიდნენ დეპუტატები **ქ. დ. ლუბენჩენკო, ს. ს. ალექსეევი, ე. მ. პრიმაკოვი, ა. ი. ლუკიანოვი.**

პალატების მიხედვით ცალცალკე კენჭისყრით ხმის უმრავლესობით დამატებებითურთ მიიღეს კანონი „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მათი ორგანოების მიერ მიღებული სსრ კავშირის კანონებისა და სხვა აქტების გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესის შესახებ".

სხდომის **თავმჯდომარემ** დეპუტატებს შესთავაზა განიხილონ ტ. გ. ჩილებაევის კანდიდატურა სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის [illegible]

[illegible]

კანონების გამოქვეყნებასთან დაკავშირებულია უაღრესად დიდმნიშვნელოვანი დებულება — მათი ძალაში შესვლა. გათვალისწინებულია, რომ სსრ კავშირის [illegible]

[illegible] ნსაკუთრებით მწვავედ დგას სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის, და პრობლემა უთუოდ უნდა გადაიჭრას, თქვა ორატორმა.

29-30 ივლისს გამართული დეპუტატთა სარეგიონთაშორისო ჯგუფის სხდომის შესახებ სესიის მონაწილეებს ინფორმაცია მია-[illegible]

დასაწყისი იხ. „კომუნისტი" № 179.

(**საქართველოს საინფორმაციო სააგენტო [illegible]**)

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

# მშენებლობის ეფექტიანობა ეკონომიკის განვითარებისა და სოციალური პრობლემების გადაჭრის საფუძველია

**მიმდინარე** წლის შვიდ თვეში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ობიექტებზე კაპიტალური მშენებლობის გეგმა 117 პროცენტით შესრულდა, სამუშაოთა მოცულობა თითქმის 600 ათას მანეთს აღემატება.

მაგრამ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ნ. ა. ჭითანავასთან გამართული გაფართოებული თათბირის მონაწილეებს ამ საკითხის გამო მაინცდამაინც დიდი კმაყოფილება არ გამოუთქვამთ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილის ტ. პ. ხოსიტაშვილის ინფორმაციის გამო მწვავე და პრინციპული აზრთა გაზიარება გაიმართა მთლიანად სამშენებლო კონვეიერის საქმიანობის ეფექტიანობისა და გეგმაზომიერების გაძლიერების გზების თაობაზე. აღინიშნა, რომ არათანაბარზომიერი მუშაობა და მისი ცალკეული უბნების ჩამორჩენა აფერხებს ეკონომიკასა და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს. მაგალითად, ასე მოხდა მეცნიერებათა აკადემიის მთელი რიგი მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობის დროსაც, თუმცა საერთო გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, მაგრამ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები აღნიშნულ პერიოდში მხოლოდ 68 პროცენტით განხორციელდა, აუთვისებელი დარჩა დაახლოებით 900 ათასი მანეთი.

ამის მიზეზია მშენებელთა ახალი მიდგომების უქონლობა, მათი მუშაობის წინანდელი მეთოდები. ისევე როგორც წინათ, საქმრეწვსამოქალაქომშენისა და მისი საქვეუწყებო ტრესტებისა და გაერთიანებების საქმიანობას აკლია ზუსტი თანამიმდევრულობა და გეგმაზომიერება. არ აღმოუფხვრიათ კვარტალების მიხედვით ძალებისა და სახსრების არარეალური განაწილების, წლის შუა თვეებისა და დამლევისათვის ძირითად სამუშაოთა გადატანის მანკიერი პრაქტიკა, რაც წარმოშობს ავრალსა და იერიშობანას.

თათბირმა არასაკმარისად ცნო საქმრეწვსამოქალაქომშენის ქვეგანყოფილების მუშაობის შედეგები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ობიექტებზე. გაერთიანების ხელმძღვანელობას დაევალა მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად გადაუდებლად შეიმუშაოს და განახორციელოს მუშახელის, ტექნიკისა და მექანიზმების კონცენტრაციის კონკრეტული ღონისძიებანი, აგრეთვე სამშენებლო კონვეიერის რიტმულობის რეალური გრაფიკი, რაც უზრუნველყოფს მთლიანი მოცულობით წლიური სამშენებლო პროგრამის უთუო შესრულებას.

საქმრეწვსამოქალაქომშენის, მისი №5 ტრესტის ხელმძღვანელობის, აგრეთვე რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს იმის საჭიროებას, რომ მიმდინარე წელს უნდა დამთავრდეს მეცნიერთა სახლის მშენებლობა ბობოყვათში. (საქინფორმი).

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

**მეშახტეთა** შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებთან საფუძვლიანი განხილვის შემდეგ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო ვრცელი დადგენილება „საკავშირო პროფსაბჭოსთან და ქვეყნის ქვანახშირის რეგიონების მშრომელთა საგაფიცვო კომიტეტებთან ერთად მთავრობის კომისიების მიერ მიღებული ერთობლივი გადაწყვეტილებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ".

(საქდესი).

# შეიქმნა ახალი ფონდი

**8 აგვისტოს** მოსკოვში დაარსდა ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია — სახალხო დიპლომატიის ფონდი. მისი დამფუძნებლები გახდნენ საბჭოთა საზოგადოებრივი, სახელმწიფო და კოოპერაციული სააქციო ორგანიზაციები და უცხოეთის ფირმები. ფონდი მიზნად ისახავს არასამთავრობო პოლიტიკური და ჰუმანიტარული კონტაქტების განვითარებას, სოციალური განვითარების პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვის დარგში მოწინავე გამოცდილების შესწავლას, ფონდის წევრთა მიერ შემოთავაზებული სოციალური პროგრამების განხორციელების საფუძვლებზე მათი რეალიზაციის მექანიზმების შექმნას.

(საქდესი).

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის

# კანონი

## მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფისა და სოციალური მომსახურების გაუმჯობესების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

**ომისა** და შრომის ვეტერანების, ინვალიდების, დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესების, მუშების, მოსამსახურეებისა და კოლმეურნეობათა წევრების საპენსიო უზრუნველყოფის ერთიანი პირობების შემოღების, აგრეთვე ამ კატეგორიის მოქალაქეთა სოციალური მომსახურების გაუმჯობესების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების მიზნით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

**მუხლი 1.** გაიზარდოს „სახელმწიფო პენსიების შესახებ" და „კოლმეურნეობათა წევრების პენსიებისა და დახმარებების შესახებ" სსრ კავშირის კანონებით დადგენილი პენსიების მინიმალური ოდენობა:

მოხუცებულობის გამო — თვეში 70 მანეთამდე;

I ჯგუფის ინვალიდობის გამო — 85 მანეთამდე;

II ჯგუფის ინვალიდობის გამო — 70 მანეთამდე;

მარჩენლის დაკარგვის შემთხვევაში სსრ კავშირის დაცვის ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულების დროს ჭრილობის, კონტუზიის ან სახიჩრობის შედეგად, ან ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების შედეგად დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა მშობლებსა და ცოლებს მიეცეთ პენსია თვეში 60 მანეთამდე.

**მუხლი 2.** მშრომელთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ სსრ კავშირის ახალი კანონის ძალაში შესვლამდე, კოლმეურნეობების წევრებსა და მათ ოჯახებს დაენიშნოთ და მიეცეთ პენსიები მუშების, მოსამსახურეებისა და მათი ოჯახებისათვის „სახელმწიფო პენსიების შესახებ" სსრ კავშირის კანონით დადგენილი წესითა და პირობებით. ამასთან კოლმეურნეობათა წევრების ხელფასი პენსიების ოდენობის გამოანგარიშებისათვის განისაზღვროს მათთვის მოქმედი წესებით.

ამ კანონის ძალაში შესვლამდე კოლმეურნეობებში მუშაობის დრო ჩაეთვალოთ შრომის სტაჟში, რაც მათ პენსიის უფლებას აძლევს „სახელმწიფო პენსიების შესახებ" სსრ კავშირის კანონის შესაბამისად.

**მუხლი 3.** დადგინდეს, რომ ინვალიდებს იმ სამხედრო მოსამსახურეთაგან, რომლებიც დაინვალიდდნენ სსრ კავშირის დაცვის ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობების შესრულების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან სახიჩრობის შედეგად, ან ფრონტზე ყოფნის დროს დაავადების შედეგად, მოხუცებულობის გამო პენსიები გაეზარდოთ თვეში 15 მანეთით მო-[illegible]

[illegible]

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი, 1989 წლის 1 აგვისტო.

აქტუალური თემა

# უპირველესი მნიშვნელობის მშენებლობა

## ანუ მოკლედ იმის შესახებ, თუ რა და როგორ კეთდება

## სტიქიით დაზარალებულ აჭარელთა დასახმარებლად

[illegible]

სპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ლაბახუა და სხვ. ამასთანავე, ამ მეტად მნიშვნელოვანი და საშური პრობლემის ოპერატიულად და ხარისხიანად გადაჭრისათვის ხელმძღვანელობა-ხელშეწყობის მიზნით რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში ახლახან შეიქმნა სპეციალური განყოფილება, რომლის უფროსად და მთავრობის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნულია ოთარ ზუხბაია. სტიქიით დაზარალებულთა დახმარებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი და პრობლემა, იქნება ეს მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, ტრანსპორტით, ენერგეტიკული რესურსებითა თუ საპროექტო დოკუმენტაციით უზრუნველყოფა და სხვა, აქ მოიყრის თავს. ამ განყოფილების, ადგილობრივი შტაბებისა თუ კომისიების მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა კი მე მავალია.

ყოველ შაბათს ადგილებზე ვატარებთ კომისიათა გამსვლელ სხდომებს, რომელთა მუშაობაში მონაწილეობენ შესაბამისი სამინისტროებისა თუ უწყებების ხელმძღვანელები და წარმომადგენლები. მათზე განვიხილავთ განვლილი კვირის მანძილზე გაწეულ მუშაობას, ვსახავთ მომავალი კვირის ამოცანებს, შეძლებისდაგვარად ოპერატიულად ვწყვეტთ წამოჭრილ პრობლემებს. ასე რომ, ეს მეტად მნიშვნელოვანი და საშური საქმე ჩვენი შეუნელებელი ყურადღების საგანია.

**— ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ნებისმიერი გაწეული მუშაობის ეფექტიანობის საუკეთესო განმსაზღვრელი მაინც მისი საბოლოო შედეგებია. და თუმცა ამაზე ლაპარაკი ჯერ, ცხადია, ნაადრევია, რადგან სამუშაოთა დამთავრებისათვის ორი წელია გათვალისწინებული, მაინც გვითხარით, რა გაკეთდა და კეთდება კონკრეტულად გეგმით გათვალისწინებული პირველი რიგის სამუშაოთა შესრულებისათვის?**

[illegible]

ობის საგანი. ამჟამად კი შეიძლება ითქვას, რომ საქმე გარკვეულწილად აწყობილია, მოგვარებულია თითქმის ყველა ის საკითხი, რომელთა გადაწყვეტა გადაუდებელი იყო მშენებელთა შეუფერხებელი მუშაობისათვის. მაგრამ პრობლემები ცხადია, საკმაოდ არის, გზადაგზა ბევრი გაუთვალისწინებელი საკითხიც წამოიჭრება ხოლმე. ამიტომაც გადაწყდა ისე ავაწყოთ საქმე, რომ მშენებლებმა ისინი ადრინდელივით მხოლოდ უკანასკნელ მომენტში კი არ დააყენონ, არამედ ერთი კვირით ადრე მაინც გაგვაცნონ, რათა გვქონდეს მათზე რეაგირების დრო და საშუალება.

ყოველივე ამის შედეგად საქმე ბევრად უკეთ მიდის. უკვე გამოიკვეთა პირველი სახლების კონტურები კოთელიაში, ოკამში, გოგაშენსა თუ სხვა სოფლებში. მშენებლებს კარგად ეხმარებიან სტუდენტი ახალგაზრდები. კერძოდ, კოთელიაში მუშაობს თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა 130-კაციანი რაზმი, რომლის წევრები ძალ-ღონეს არ იშურებენ.

**— მაგრამ სტუდენტური არდადეგები მალე მთავრდება. და, რაც მთავარია, ზამთრამდეც ბევრი დრო არ არის დარჩენილი, რაც, ცხადია, გარკვეულ კორექტივებს შეიტანს სამუშაოთა მიმდინარეობაში.**

— დიახ, მესხეთ-ჯავახეთის რაიონებში სამუშაოთა წარმოებისათვის მაქსიმუმ სამი თვეღა დაგვრჩა. მერე მოთოვს. სწორედ ამის გათვალისწინებით უმთავრესი ყურადღება ამჟამად საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე გვაქვს გადატანილი. თუმცა პარალელურად არც კავშირგაბმულობის, ენერგეტიკის, წყლით უზრუნველყოფის სამუშაოებს ვივიწყებთ, მაგრამ სოციალური ინფრასტრუქტურის საკითხების სრულად გადაწყვეტაზე ძირითადად მაინც მომავალ წელს ვიზრუნებთ. ამჟამად კი მთავარია უსახლკაროდ დარჩენილთ ჭერი ჰქონდეთ.

ხელს გვიშლიდა შეფერხებები საპროექტო უზრუნველყოფაშიც. ამჟამად ამ მხრივაც და, როგორც აღვნიშნე, საერთოდაც უმჯობესდება მდგომარეობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველგან ერთნაირად კარგად არა. მაგალითად, ჯერჯერობით არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ბოგდანოვკის რაიონში, სადაც ასაშენებელი 95 სახლიდან თუნდაც ერთის მდგომარეობაც არ არის დამაიმედებელი. ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ადგილობრივმა ხელმძღვანელებმა.

**— ამასთან დაკავშირებით ხომ არ დგება დამატებითი მუშახელის მოზიდვისა და დაფინანსების გაზრდის აუცილებლობის საკითხი? რამდენად საჭიროდ მიგაჩნიათ, კერძოდ, მავანთა თავისთავად კეთილშობილური მოწოდება-განზრახვა, რომ წლეულს, გამონაკლისის სახით, პირველ ოქტომბერს დავიწყოთ სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში, რათა სტუდენტურმა რაზმებმა იმუშაონ აჭარელ ხიზანთა საცხოვრისების მშენებლობაზე?**

— ამის საჭიროება ამჟამად არ არსებობს. მუშახელი გვყოფნის. თანაც აგვისტოს მიწურულისათვის თითქმის დამთავრდება ეგრეთ წოდებული ნულოვანი ციკლის, ანუ მიწის სამუშაოები, რომელთა შესრულებისათვის გვჭირდებოდა ბევრი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „შავი", არაკვალიფიციური მუშა. აწი უკვე კვალიფიციური სპეციალისტების — დურგლების, მემონტაჟეების, მებათქაშეების, მღებავებისა თუ სხვათა ბრიგადები გვჭირდება. მათ ვაკომპლექტებთ, აგრეთვე მობილიზაციას ვუკეთებთ თბილისში არსებულ სამშენებლო ტექნიკას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოძმე სომხეთში მიწისძვრით დატრიალებული ტრაგედიით დაზარალებულთა დახმარების მიზნით ახურიანის რაიონში ჩვენს მიერ შექმნილი სამშენებლო ტრესტის კოლექტივის ერთი ნაწილი თავისი ტექნიკითურთ ამჟამად ახალქალაქის რაიონში მუშაობს.

თუმცა ეს სრულიბითაც არ ნიშნავს, რომ საქმე ყოველმხრივ საათივით გვქონდეს აწყობილი და დახმარება არ გვჭირდებოდეს. კვლავაც საჭიროა, რომ რესპუბლიკის მსხვილმა სამრეწველო საწარმოებმა, რომლებსაც აქვთ თავიანთი სამშენებლო უბნები, სამმართველოები და ტრესტები, დაზარალებულთა ჩასახლების ადგილებში თავიანთი ძალებით ააშენონ თითო სახლი მაინც. ამ მხრივ ბევრ რამეს აკეთებენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, „საქსამთოქიმმრეწვის", „ელვას" საწარმოო გაერთიანებების, თბილისის ლენინის და პირველი მაისის რაიონების და სხვათა მშრომელები, მაგრამ მეტი თანადგომა გვჭირდება.

როდესაც ხაზგასმით აღვნიშნე, სასურველია მათ საკუთარი ძალებით აწარმოონ მშენებლობამეთქი, ამით თქვენი კითხვის ერთ ნაწილსაც გავეცი პასუხი. დიახ, საკუთარი ძალებით, მაგრამ არა ფულითა და მასალებით. ფული წლეულს გათვალისწინებული სამუშაოებისათვის ჯერჯერობით არ გვიჭირს. დაზარალებულთა დასახმარებლად საკავშირო მთავრობამ გამოგვიყო 65 მილიონი მანეთი. 45 მილიონი მანეთი რესპუბლიკამ გაიღო. ამასთანავე ცალკეულმა პირებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა სპეციალურ ანგარიშზე უკვე ჩარიცხეს 14 მილიონამდე მანეთი. მაგრამ ეს, თავისთავად ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ ფული საერთოდ არ გვიჭირს. მომავალ წელს ხომ ბევრად მეტი და მასშტაბური სამუშაოებია ჩასატარებელი. უთუოდ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩამოსახლებული სვანებისთვისაც მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები. ამიტომ შემდგომშიც აუცილებელია თითოეულისა და ყველას, ვისაც ეს ძალუძს, საქმიანი კონკრეტული დახმარება და თანადგომა, რათა ჩვენთვის ეს უპირველესი მნიშვნელობის მშენებლობა დროულად და ხარისხიანად დამთავრდეს.

სწორედ მხოლოდ ეს განზრახვა გვამოძრავებდა, როდესაც მივიღეთ ძალზე არაორდინარული და, სხვა დროს უცნაურადაც რომ გამოჩნდებოდა, ისეთი გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც სამშენებლო ორგანიზაციებს დავალებული აქვთ მთავარ ძალებს ამ უბანზე მოუყარონ თავი და აქ უთუოდ შეასრულონ დაგეგმილი სამუშაოები, რომლებიც მათ გეგმის შესრულებაში ჩაეთვლებათ. ამავე დროს, რა თქმა უნდა, სასურველია არც სხვაგან ჩაშალონ მუშაობა (თუ მაინცდამაინც ასე მოხდა, არც ამისთვის დავტუქსავთ მათ მკაცრად), მაგრამ აქ კი აუცილებლად უნდა იყოჩაღონ.

**— და ბოლოს, ერთი, ვიმეორებ, შესაძლოა ნაადრევი, მაგრამ ჩემი აზრით მაინც აუცილებელი კითხვა: პირადად თქვენ კმაყოფილი ბრძანდებით ადგილებზე ამჟამად არსებული მდგომარეობითა და სამუშაოთა მიმდინარეობის ტემპით?**

— როგორც გითხარით, რაიმე გამოკვეთილ საბოლოო შედეგებზე ჯერჯერობით ლაპარაკი ნაადრევია. წიწილებს მართლაც შემოდგომაზე ითვლიან. შემოდგომისათვის კი გადაწყვეტილი გვაქვს, რომ უთუოდ დავამთავროთ წლევანდელი გეგმით გათვალისწინებული 831-ივე საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ანუ შევასრულოთ პროგრამა-მინიმუმი. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ზოგან გამონაკლის შემთხვევაში ერთ ახალაშენებულ სახლში ორმა ოჯახმაც გამოიზამთროს. ეს თუნდაც იმ მიზნით, რომ მომავალმა ახალმოსახლეებმა იმუშაონ საზოგადოებრივ მეურნეობებში, შეეგუონ იქაურობას, გაზაფხულის დადგომისთანავე დაამუშაონ და აითვისონ მათთვის გამოყოფილი საკარმიდამო ნაკვეთები, მერე, დათბობისთანავე, მშენებლობაც შეუფერხებლად დაიწყონ და სხვ.

აშენებით კი, როგორც ითქვა, ორწლიანი პროგრამის თანახმად უნდა აშენდეს 2166 სახლი. აქედან 831 წლეულს, დანარჩენი კი — გაისად. ამას გარდა, რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში ადგილობრივი ძალებითა და თვით ხიზანთა მონაწილეობით შენდება 1560 სახლი. ამასთანავე, ასევე სხვადასხვა რაიონში აჭარიდან სტიქიას გამორიდებულებმა უკვე გაიფორმეს ან იფორმებენ 1298 სახლს.

ასე რომ, თუმცა პრობლემები და გასაკეთებელ-მოსაგვარებელი კვლავაც ბევრი გვაქვს, მაინც შეგვიძლია ვთქვათ — მდგომარეობა უკეთესობისაკენ იცვლება. ხოლო უფრო დარწმუნებით ვიტყვით, რომ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა მომავალში ეს პროცესი შეუქცევადი გახდეს. სტიქიით დაზარალებულ აჭარასა და აჭარლებს, ისევე როგორც სვანებს თუ სხვა რაიონების წარმომადგენლებს, არასოდეს მოაკლდებათ თანამოძმეთა გულის სითბო, ყურადღება და პრაქტიკული საქმეებით განმტკიცებული თანადგომა.

ესაუბრა
**რუსლან რუსია.**

ადამიანი და კანონი

# აქცია ორგანიზებული იყო

**ᲔᲠᲗᲘ თვის წინათ ბოლნისში, სადაც განლაგებულია რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული შტაბი, ლამის ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად ჩავედით. გზა სრულიად თავისუფალი იყო, თანაც მის გასწვრივ რაღაც უცნაური სიჩუმე დასადგურებულიყო.**

**ახლა ტრანსპორტის ნაკადი ტრასაზე კვლავ ინტენსიურად მიედინება, გზის გაყოლებაზე კი ხალხი გამოფენილა. ზოგს საქმეზე მიეჩქარება, ზოგს კი პირდაპირ სახლების წინ გაუმართავს იმპროვიზებული დახლები და ყიდის საკარმიდამო ნაკვეთებზე მოწეულ ბოსტნეულსა თუ ხილს... მაგრამ იდილია მოჩვენებითია: მომხდარი ამბების ხსოვნა ცოცხალია, და ჭრილობა რომ მოშუშდეს, აუცილებლად გულმოდგინედ უნდა გაირკვეს კონფლიქტის მიზეზები და ინიციატორები. იმაზე, თუ როგორ მუშაობენ სამართალდამცავი ორგანოები, გვესაუბრება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, გენერალ-მაიორი ვ. ი. შადური.**

**— ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲝ ვარლამ, მოდით „გადავფურცლოთ" მომხდარის საკვანძო მომენტები, რათა თავიდან ავიცილოთ ამა თუ იმ სიტუაციის სხვაგვარი „წაკითხვა". კერძოდ, თავიდანვე წავაწყდი უწესრიგობის დაწყების ორ ვერსიას — არ ვიცი სვანებს არ გადაუხდიათ ფული ტაქსისტისათვის, თუ ისინი ვერ მორიგდნენ რიგში. მაინც რის გამო მოხდა ჩხუბი?**

— არც რიგი და არც ფულის გადახდა არაფერ შუაშია. მარნეულში აზერბაიჯანელთა ჯგუფმა (მათ შორის მართლაც იყო ტაქსისტი, მაგრამ იგი იმ დღეს არ მუშაობდა) აწყენინა მიმავალ სვანებს. დაწყებული ჩხუბი გახდა კიდეც მასობრივ უწესრიგობათა საბაბი რაიონულ ცენტრში 22 ივნისს ღამით. შემდეგი ამბები ცნობილია: გაიმართა მიტინგები, რომლებზეც მოითხოვდნენ ავტონომიასა და ქართველი ეროვნების მოქალაქეთა გასახლებას, დაირხა ხმები, თითქოს თბილისელი სტუდენტები ამზადებდნენ აზერბაიჯანელთა დარბევას, გამოიყვანეს პიკეტები ქუჩებში, ჩხრეკდნენ ავტომობილებს... მიღებული ზომების შედეგად შევძელით მარნეულში ვნებების დაცხრომა, მოსახლეობა დავარწმუნეთ, რომ ყალბია გავრცელებული ხმები.

**— მაგრამ ამასობაში ეპიცენტრმა გადაინაცვლა ბოლნისსა და დმანისში. რით უნდა აიხსნას ეს?**

— სწორედ აქციის შეგნებული ინსპირირებით, რაზეც მოგვიანებით უფრო დაწვრილებით ვილაპარაკებ.

25 ივნისს ბოლნისის მხრიდან მოვიდა რამდენიმე ათეული სატვირთო ავტომანქანა, რომლებითაც მოიყვანეს ფიწლებით, ბარებითა და ცულებით შეიარაღებული აზერბაიჯანული ეროვნების მოხულიგნო და ექსტრემისტულად განწყობილი ელემენტები. ჩვენ გადავჭერით გზა, და მანქანები უკან გაბრუნდნენ. ბოლნისში მათ შეუერთდნენ ახლომდებარე სოფლების მცხოვრებნი. პროვოკაციულად გამოიწვიეს შეიარაღებული თავდასხმა მოსახლეობის ქართულ ნაწილზე, დაშავდა 13 ქართველი, 3 აზერბაიჯანელი და ერთი ბერძენი. უწესრიგობათა ორი ყველაზე აქტიური მონაწილე — ბოლნისის სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის უფროსი ალიევი და რაიონული სამხედრო კომისარიატის მძღოლი მეხტიევი დავაპატიმრეთ. მიმდინარეობს გამოძიება.

**— რეგიონში მილიციის დამატებითი ძალები და შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები შეიყვანეთ, მაგრამ, ამას სამწუხაროდ, სტაბილური არ გაუხდია ვითარება.**

— 25 ივნისს ღამით გრძელდებოდა შეტაკებანი ეროვნებათშორის საფუძველზე. მაგალითად, მძღოლ ფაშაევის სატვირთო ავტომანქანიდან აზერბაიჯანული ეროვნების პირები დაუმიზნებლად უშენდნენ ცეცხლს ქართულ მოსახლეობას.

მათივე ცეცხლგამჩენი ნარევით სავსე ბოთლებით ცეცხლი წაუკიდეს „ბელაზს", ამასთან ამ მანქანის მძღოლმა და მგზავრებმა — ორმა სომეხმა და ქართველმა — სხვადასხვა ხარისხის სიმძიმის სიდამწვრე მიიღეს. დაკავების დროს მილიციის თანამშრომლებს წინააღმდეგობა გაუწიეს და სროლის დროს ხუთი კაცი დაიჭრა. ამ ფაქტის გამო დაპატიმრებული არიან მამა-შვილი ფაშაევები. დავადგინეთ დანარჩენი დამნაშავენიც, წარმოებს გამოძიება და ძებნა.

**— იმ დროს სულაც არ ყოფილა სიმშვიდე დმანისში. ამასთან დაკავშირებით გახსნილია თუ არა სახელმწიფო ავტოინსპექციის განყოფილების უფროსზე დაჯახების ფაქტი და რა მოგცათ ტყის ჩხრეკის ოპერაციამ?**

— დაჯახების ფაქტი გახსნილია. მოქალაქე, რომელმაც ეს ჩაიდინა, 1 აგვისტოს დავაპატიმრეთ.. რაც შეეხება ტყის ჩხრეკას — ამ საქმეში გამოვიყენეთ მილიციის 600 მუშაკი, სამოქალაქო აქტივი, აგრეთვე 200 სასამსახურო ძაღლი. იარაღი ან ფული აღმოჩენილი არ არის. სამაგიეროდ ბოლო მოეღო მორიგ ჭორს, რაც, უდავოდ, ხელს უწყობს მოსახლეობის დამშვიდებას.

**— გამოავლინეთ თუ არა ისინი, ვინც ბაზრების მუშაობის დეზორგანიზაცია გამოიწვია?**

— ბოლნისის ბაზრის მასობრივი დარბევის მოწყობისათვის დაპატიმრებულია ოთხი კაცი. მიმდინარეობს გამოძიება.

**ავტორის ნიაღსვლა.** სპეკულაციისათვის ნასამართლევ დაპატიმრებულ გასანოვასთან საუბრიდან:

— ჭირმა წაიღოს ჩემი თავი! მამედოვმა (ისიც დაპატიმრებულია) მითხრა, მარნეულში ბაზარი დაკეტილია, ბოლნისშიც უნდა დაიკეტოსო... არა, ქართველთა წინააღმდეგ არავითარი ბოროტება არ მიდევს გულში, პირიქით, ისინი ყოველთვის მეხმარებოდნენ.

— ბაზრები რომ დაეკეტათ, სად აპირებდით საკუთარი მოსავლის გასაღებას?

— ჩემი მწვანილი უკვე გაყიდული მქონდა...

**— პატივცემულო ვარლამ, სიყალბის თემა რომ ამოვწუროთ, გვინდა დავაზუსტოთ, რით იყო დასაბუთებული დეპეშები, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სახელზე გაიგზავნა?**

— ისინი, შეგახსენებთ, შეიცავდნენ საჩივრებს, თითქოს არამართლზომიერად იქცეოდა მილიცია და აზერბაიჯანელებს ავიწროებდა მკვიდრი მოსახლეობა. ჰოდა, ახლა ორი ავყია დავკითხეთ და მათ აღიარეს, რომ ცილს სწამებდნენ. უნდა აღინიშნოს შემდეგიც: ყველა დეპეშა საქართველოს ფარგლებს გარედან გაიგზავნა, მათი შედგენის მანერა მეტად მსგავსია. ამასთან უშუალო გამგზავნებმა საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს ვერც კი აღადგინეს საკუთარი ტექსტის მსგავსება.

**ავტორის ნიაღსვლა.** მე გავეცანი სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ ბრიგადის დასკვნას, რომელიც ამოწმებდა საჩივრების დასაბუთებულობას, მილიციის პოლკოვნიკმა ვ. კოჩერგინმა, პოდპოლკოვნიკებმა ნ. ბუდრუევმა და ნ. ლანდიზინმა დაადგინეს: დეპეშებში ჩამოყალიბებული მტკიცებანი სინამდვილეს არ შეეფერება. არა ყოფილა არავითარი ფაქტი, რომ უფლებამოსილებისათვის გადაემეტებინოთ მილიციის მუშაკებს, ისევე, როგორც შეევიწროებინოთ აზერბაიჯანელები.

**— რეგიონში სულ რამდენი პირი მისცეს პასუხისგებაში?**

— 25 ივნისიდან 31 ივლისის ჩათვლით უწესრიგობებში, მოქალაქეებზე თავდასხმებსა და სხვა ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებებში მონაწილეობისათვის დაპატიმრებულია 24 კაცი, 743 მიცემულია ადმინისტრაციულ პასუხისგებაში. ჩამორთმეულია 409 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი, 358 ცული, დანა, ლითონის წნელი და სხვა საჩხვლეტ-საჭრელი საგანი, 60 საკვამლე კოჭი, 3 ასაფეთქებელი მოწყობილობა, 53 ბოთლი ცეცხლგამჩენი ნარევი. ეს, რა თქმა უნდა, საბოლოო შედეგი არ არის. გრძელდება მუშაობა პროვოკაციის ორგანიზატორთა გამოსავლენად. მონაცემები, რომლებიც გვაქვს, მოწმობს: რეგიონში განხორციელდა წინასწარ დაგეგმილი აქცია ეროვნებათშორისი შუღლის გაღვივების მიზნით. გამოძიებას არ დავასწრებ (სხვათა, შორის, რესპუბლიკის პროკურორმა ვ. რაზმაძემ მომხდარის გამო აღძრა საერთო სისხლის სამართლის საქმე), მაგრამ გარწმუნებთ, რომ პასუხისმგებლობას თავს ვერ დააღწევს ვერავინ, რა რანგისაც უნდა იყოს.

**— როგორ დაახასიათებთ დღევანდელ სიტუაციას მარნეულში, ბოლნისსა და დმანისში?**

— არსებითად, როგორც სტაბილურს. მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა ნორმალური შრომითი რიტმით შრომობს. მაგრამ ზოგიერთი საწარმო ნაწილობრივ მოქმედებს. მაგალითად, ბოლნისის სამკერვალო ფაბრიკა. ზოგან არ შეწყვეტილა ცალკეული ცდები დააშინონ აზერბაიჯანელები, არ დაუშვან ისინი სამუშაოდ. რაიონულ ცენტრში მოხდა 12 აფეთქება. ამ აფეთქებებთან დაკავშირებულ პირთა წრე გამოვლენილია, ბრალეულნი დაისჯებიან, საბედნიეროდ, მსხვერპლი არ ყოფილა, მაგრამ ორმხრივი შიში არ არის დაძლეული.

გასაგებია შეურაცხყოფილი ქართველი მოსახლეობის წყენა. მაგრამ ესოდენ პრიმიტიული შურისძიების გრძნობა ჩვენი ხალხის ბუნებას არ ახასიათებს. ემოციებს არ უნდა ავყვეთ, არ უნდა ვიკადროთ ლანძღვა და მუქარა, რითაც სცოდავს ზოგიერთი მოხულიგნო ელემენტი, მათ შორის არასრულწლოვანები. ვითარებას, რომელიც ჯერ კიდევ არ შენელებულა, ამწვავებს გახშირებული ლოთობა, ავტომობილის სიმთვრალეში მართვის ფაქტები, 2 აგვისტოს კი ყაჩაღური თავდასხმისათვის დააკავეს ბოლნისის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი ბასილაშვილი. დაკითხვაზე მან თავისი მოქმედება „საერთო საქმის" ერთგულებით ახსნა. რომელი საქმისა? კარგი საქმე ულირსი მეთოდებით ვერ გაკეთდება!

**— ახლა, ბატონო ვარლამ, არცთუ ისე სასიამოვნო შეკითხვა: თქვენ თვითონ ბრძანეთ, აქციები ორგანიზებული იყოო. მაშასადამე, იგი ერთბაშად არ მომწიფებულა. შინაგან საქმეთა ადგილობრივმა ორგანოებმა რატომ არ [illegible] ნეგატიური ვითარება რეგიონში?**

— სამართლიანი კითხვაა. მოვლენები [illegible] ცალკეულ [illegible] ფაქტებს არ მიეცა სათანადო შეფასება, და არა მარტო მილიციის მხრივ. რა არის ეს — [illegible] გულგრილობა თუ სხვა რამ უფრო მეტი — ამას გამოძიება გვიჩვენებს. ჩვენი მთელი რიგი თანამშრომლები განთავისუფლებული არიან დაკავებული თანამდებობებიდან. ზოგიერთი დათხოვნილია ორგანოებიდან მოვალეობის არაკეთილსინდისიერი შესრულებისათვის, ვიმეორებ, რომ მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში გადაცემის საკითხი ღიად რჩება გამოძიების დამთავრებამდე.

ამასთან ერთად, მშრომელთა განცხადებების საფუძველზე, ბოლნისსა და კაზრეთში კომისიამ შეამოწმა საპასპორტო რეჟიმის, ჩაწერისა და ამოწერის პრაქტიკა. თურმე, ზოგიერთი თანამდებობის პირი — მილიციაშიც და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებშიც, ბოროტად იყენებდა სამსახურებრივ მდგომარეობას, რამაც გამოიწვია დემოგრაფიული სიტუაციის გაუარესება. სათანადო დასკვნებს გამოვიტანთ მარნეულში ანალოგიური შემოწმების შემდეგ.

**— და ბოლოს, რამდენ ხანს აპირებთ რეგიონში დამატებითი ძალების დატოვებას — რესპუბლიკაში ხომ საკმაოდ დაძაბული მდგომარეობაა?**

— არც ერთი დღით არ დავრჩებით იმაზე მეტ ხანს, რამდენსაც გარემოება მოითხოვს. იქ შეყვანილი ძალების ნაწილი უკვე დაბრუნებულია მუდმივი დისლოკაციის ადგილებში. ჯერჯერობით ნაადრევია დავასახელოთ დანარჩენი ძალების გამოყვანის თარიღი — ისინი მანამდე დარჩებიან, სანამ მთლიანად არ შენელდება დაძაბულობა და არ აღდგება საზოგადოებრივი წესრიგი. დიდი იმედი გვაქვს, რომ მოსახლეობა მხარს დაუჭერს პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცავი ორგანოების შესაბამის მეცადინეობას.

**ავტორის ნიაღსვლა:** სოფელ არახლოს საოჯახო მაღაზიის მფლობელთან ვახკიბ ისაევთან საუბრიდან:

— ჩვენ უბრალოდ შეცდომაში შეგვიყვანეს ჭორებითა და პროვოკაციებით., მე საქართველოში გავიზარდე და არასდროს არაფერი არ მქონია მეზობლებთან გასაყოფი. აქ კი სულ ტყუილად აგვაფორიაქეს. სამწუხაროა, რომ ბევრი წამოეგო მატყუარათა ანკესს. ასეთი რამის პატიება არ შეიძლება. ყველა პროვოკატორი, რა ეროვნებისაც უნდა იყოს, უნდა ვიპოვოთ და მკაცრად დავსაჯოთ.

მარნეულის საქალაქო სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსის მოადგილესთან გოდერძი ქველაძესთან საუბრიდან:

მუდმივად ემორიგეობთ ხან აქ, ხან მარნეულის შესასვლელთან, თან — ქუჩებშიც. ვალდებული ვართ არ გავატაროთ ორგანიზებული ჯგუფები, ხელი შევუშალოთ იარაღის გადატანას. პირველ დღეებში ბევრი სამუშაო გვქონდა. დღეს, მადლობა ღმერთს, მხედველობის არეში გვყავს მხოლოდ ჩვეულებრივი კატეგორიის მძღოლები — საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევები.

**ვლადიმერ იარალოვი,**
საქინფორმის სპეც. კორ.

# თბილისში სანიმუშო სანიტარიული მდგომარეობისათვის

**ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ გვეგონა, ერთობ სუფთა და კოპწია ქალაქიაო თბილისი. მტკიცედ გვჯეროდა ჩვენივე შეთხზული ამ მითისა, მაგრამ ყველაფერს ხომ დასასრული აქვს. ეგეც არ იყოს, როდის ყოფილა, ჭირს თავი დაემალოს. აკი არც დამალა.**

**საგანგებოდ ძებნა-თვალთვალი არცაა საჭირო. ერთი შეხედვითაც უმალ იგრძნობა: ათასი სიბინძურე მოედო და მოეძალა ქალაქს, ნაგვის გროვები თბილისის ქუჩების, ეზოების, ბაღების მოუშორებელ სენად იქცა, თბილისელებს კი გულგრილობა, სიცივე შემოეპარათ და ქალაქის სიყვარულმა საქმიდან სიტყვაში გადაინაცვლა. არადა, ეს ისეთი სენი აღმოჩნდა, მხოლოდ სიტყვითა და ლაპარაკით რომ არაფერი ეშველება.**

**მაშ, რა ვქნათ, რა მოვახერხოთ?**

**ᲡᲬᲝᲠᲔᲓ** ეს კითხვები გაისმა 2 აგვისტოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, სადაც ქალაქის სანიტარიული მდგომარეობის განსახილველად, ღონისძიებების დასახვისათვის შეიკრიბნენ საქალაქო საბჭოს აღმასკომის, რაიონული საბჭოების აღმასკომების პასუხისმგებელი მუშაკები, საწარმო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნოდარ ჭითანავამ თავიდანვე ჩამოაყალიბა ამ შეხვედრის მიზანი, ძირითადი მიმართულება — სწრაფად განიტვირთოს ქალაქის შემოგარენი ნაგვის, სხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან.

დედაქალაქში არსებული სანიტარიული მდგომარეობა მოკლედ შეაფასა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ ირაკლი ფაღავამ. აღნიშნა, რომ კვლავ საგანგაშოა თბილისის ეკოლოგიური იერსახე. ქალაქის ზრდის ტემპს საგრძნობლად ჩამორჩება საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანისა და გადამუშავების საწარმოთა სიმძლავრეები. თქვა, რომ დღესდღეობით თბილისის 2419 ქუჩიდან იგვება და სუფთავდება მხოლოდ 1081 ქუჩა, ეს კი ანტისანიტარიის კერას ქმნის და ისედაც მძიმე ატმოსფერულ მდგომარეობას უფრო ართულებს. არ ხერხდება ნარჩენების კონტეინერული წესით გატანა 7 ათასამდე მაღალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ნაგავშემკრები კამერებიდან. ეს კი მწერების, მღრღნელების გავრცელების, გამრავლების ხელსაყრელ პირობებს წარმოშობს. ამის მიზეზად მინისტრის მოადგილემ ქალაქისა და რაიონების სპეცავტომეურნეობათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სისუსტე დაასახელა. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ დღემდე ამ საქმეს ქალაქის მრავალი უწყება, დაწესებულება-ორგანიზაცია ემსახურება და ხშირად მათი ურთიერთშეუთანხმებლობა მძიმე ტვირთად აწვება ქალაქის სანიტარიულ მდგომარეობას.

ირაკლი ფაღავა შეეხო ასეთ მტკივნეულ საკითხებსაც, როგორიცაა მოსახლეობის ინტენსიური თავშეყრის ადგილებში საერთო სარგებლობის საპირფარეშოების ნაკლებობა, მტკვრის დაბინძურება, დატბორილი სარდაფები, ეკოლოგიურად ჭუჭყიანი სამრეწველო საწარმოების, გარაჟების ქალაქგარეთ გატანის აუცილებლობა და ა. შ.

შემდეგ მან თათბირის მონაწილეებს გააცნო ღონისძიებათა გეგმა, რომელიც ჩამოთვლილი პრობლემების გადაწყვეტას ითვალისწინებს;

მთავარი — თქვა მან, — მაინც ისაა, რომ ქალაქის მოსახლეობა, თბილისელები გულგრილად არ უნდა შესცქეროდნენ საკუთარი სამყოფელის გაბინძურებას. ვერავითარი ღონისძიება შედეგს ვერ გამოიღებს, თუ თვითონ ადამიანებმა არ მიჰყვეს ხელი მათი საცხოვრებელი თუ სამუშაო ადგილების მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავებას, არ გამოიჩინეს მომთხოვნელობა ერთმანეთის მიმართ.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ემზარ ტურძელაძემ წამოაყენა კონკრეტული წინადადებები, კერძოდ, მან თქვა, რომ ამჟამად ნაგვის, საყოფაცხოვრებო ნარჩენების ოპერატიულად გადატანისათვის ქალაქს აკლია 200-მდე თვითმცლელი მანქანა, საჭიროა აგრეთვე სხვა ტექნიკაც — ბულდოზერები, ექსკავატორები, მომრწყველი მანქანები, უნდა გაიზარდოს მეეზოვეთა, სხვა მომსახურე პერსონალის მატერიალური დაინტერესება ა. შ.

არავისთვისაა საიდუმლო, რომ ქალაქის დაბინძურების, ატმოსფეროს გაჭუჭყიანების ერთ-ერთ წყაროს ავტომობილი წარმოადგენს. გამონაბოლქვსა და მავნე გაზებზე რომ არაფერი ვთქვათ, ჭუჭყიანი ძარებით გადაადგილებაც არღვევს ეკოლოგიურ მთლიანობას. თათბირზე ითქვა, რომ საჭიროა გამკაცრდეს ამგვარი ავტომანქანების მფლობელთა მიმართ მომთხოვნელობა და კონტროლი, რაზეც ქალაქის ავტოინსპექციის უფროსმა ვარლამ როგავამ განაცხადა: არავითარი ნორმა, რითაც ამ სახის დამრღვევთა პასუხისმგებლობა იქნება შესაძლებელი, არ არსებობს; აგრეთვე არა გვაქვს სანქციები ღია ძარებით სამშენებლო მასალის, ნაგვის გადამტანთა მიმართაც. მანვე თქვა, რომ კეთილგონივრული იქნებოდა, საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაეწესებინა ამგვარი საჯარიმო სანქციები. ეს ხელს შეუწყობს ქალაქის იერსახის, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებასო.

მოსაზრებები, კონკრეტული წინადადებები გამოთქვეს საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ირაკლი ანდრიაძემ, საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა.

თათბირზე გამოითქვა მოსაზრება, რომ საწარმო-დაწესებულებებში, მათს ეზოებსა და მიმდებარე ქუჩებზე სისუფთავის დაცვა ხელმძღვანელთა ისეთივე თანამდებობრივი მოვალეობა უნდა გახდეს, როგორიც საწარმოო გეგმების შესრულებაა...

ხაზი გაესვა იმ მოთხოვნების საწორეს, რომ რაიაღმასკომების მუშაობის შეფასების ერთ-ერთ განმსაზღვრელ კრიტერიუმად უნდა იქცეს ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაში მათი მონაწილეობა, დიდაქალაქის მკვიდრთა დარაზმვა თბილისის სუფთა ქალაქად გადაქცევისათვის. მათ რჩევა მიეცათ ეფექტიანად გამოიყენონ პრესა, ტელევიზია, რადიო სანიტარიული პროპაგანდისათვის, რეიდების, სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად, საიმისოდ, რომ სისუფთავისა და წესრიგის დაცვისათვის მოძრაობა ყველა მოქალაქის შინაგან მოთხოვნილებად იქცეს.

თათბირზე გადაწყდა საკითხები, რომლებიც ოპერატიულ ჩარევას მოითხოვდა. ქალაქის აღმასკომს დაევალა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად 10 დღის ვადაში შეიმუშაოს და მთავრობას დასამტკიცებლად წარმოუდგინოს თბილისში სანიტარიული წესრიგის დაცვის კომპლექსური პროგრამის პროექტი.

მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ ყველა ორგანიზაციაში შეადგინონ კონკრეტული სამოქმედო გეგმები და იზრუნონ მათ განსახორციელებლად.

**სოსო ბალაშვილი.**

# საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება

**ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ, საბჭოთა და სამართალდამცავი ორგანოების ღონისძიებათა მიუხედავად აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში კვლავინდებურად გაჩერებულია მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები. განსაკუთრებით რთული სიტუაცია შეიქმნა ოჩამჩირის რაიონში, სადაც არ მუშაობს კომბინირებული საკვებისა და ზეთის საექსტრაქტაციო ქარხნები, სამი კოლმეურნეობა, ორი საბჭოთა მეურნეობა, სათბურკომბინატი. სოფელ ილორში მჯდომარე გაფიცვას განაგრძობს 26 მოქალაქე, რომლებიც რაიონის ხელმძღვანელობის შეცვლას მოითხოვენ. განვლილი დღე-ღამის მანძილზე მოქალაქეთა ქცევის საგანგებო რეჟიმის დარღვევისათვის დაკავებულია 37 კაცი.**

**რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებისა და ქვეგანაყოფების თანამშრომლები ეწევიან მუშაობას არასაუწყებო დაცვის საგუშაგოებიდან და რაიგანყოფილებებიდან გატაცებული იარაღის გამოსავლენად და ჩამოსართმევად. დღე-ღამის მანძილზე აფხაზეთში მოსახლეობას ჩამოერთვა 31 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი, მათ შორის 6 ავტომატი, 2 მცირეკალიბრიანი შაშხანა და 23 სანადირო თოფი.**

**4 აგვისტოსათვის ქ. ზუგდიდის საგამოძიებო იზოლატორში დაბრუნებულია 124 კაცი. მიმდინარეობს მუშაობა დანარჩენთა გამოსავლენად და დასაკავებლად.**

**მთლიანად ოპერატიული ვითარება რესპუბლიკაში სტაბილურია. დღე-ღამის მანძილზე აღირიცხა 16 დანაშაული, რომელთაგან თორმეტი „ცხელ კვალზეა" გახსნილი. ამ დროის განმავლობაში მოხდა 2 სახელმწიფო ქონებისა და 5 პირადი ქონების ქურდობა, 10 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რომელთაგან ორი სიკვდილით დამთავრდა, ერთი დაშავდა. ორი მკვლელობა მოხდა დასავლეთ საქართველოს რაიონებში. 3 აგვისტოს ქ. წყალტუბოს ზონის სოფელ გუბისწყალში №8 შერეული მაღაზიის არასაუწყებო დაცვის დარაჯმა, წინათ ნასამართლევმა დ. ხაჭაპურიძემ, რომელიც ნასვამი იყო, ჩხუბის დროს რეგისტრაციაში გაუტარებელი სანადირო თოფით მოკლა ამავე სოფლის მცხოვრები მ. ბენიძე, მერე კი შეეცადა ესროლა იქ მყოფი ზ. ხაჭაპურიძისა და ნ. ბენიძისათვის. ამ უკანასკნელებს მოგერიებისა და თოფის წართმევის დროს დ. ხაჭაპურიძე შემოაკვდათ. მიმდინარეობს გამოძიება.**

**განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ამ ბოლო დღეებში ბოლნისის რაიონის ტერიტორიაზე მოხდა აფეთქებანი და ყაჩაღური თავდასხმა. მაგალითად, 4 აგვისტოს ქ. ბოლნისში მ. ეიუბოვის სახლის ეზოში დაუდგენელმა პირმა მოაწყო აფეთქება. მსხვერპლი და ნგრევა არ ყოფილა. მიმდინარეობს გამოძიება. სროლის ხმა გაისმა ბოლნისის კულტურისა და დასვენების პარკის მიდამოებში. არავინ დაშავებულა. მიმდინარეობს გამოძიება. 2 აგვისტოს ბოლნისის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებას მიმართა მოქალაქე ზ. წაქაძემ განცხადებით, რომ ღამით სახლში მიეჭრა ორი დამნაშავე, რომლებმაც ცეცხლსასროლი იარაღი მოუღერეს და წაართვეს 15.000 მანეთი. მიღებული ზომების შედეგად დადგენილი და დაკავებულია მ. ბახილაშვილი, ბოლნისის ავტოსატრანსპორტო საწარმოს წინათ ნასამართლევი მძღოლი. ნაძარცვის ნაწილი და თოფი ჩამორთმეულია. მიმდინარეობს გამოძიება და თანამონაწილის ძებნა.**

**გაცნობებთ აგრეთვე, რომ სამართალდამცავი ორგანოების ღონისძიებათა შედეგად, დაკავებული არიან ქ. ბოლნისში მომხდარ მასობრივ არეულობაში მონაწილეობაზე ეჭვმიტანილი პირნი: ტ. იუსუბოვი — მარნეულის საქალაქო საავადმყოფოს დარაჯი, ხ. ნაბიევი — სოფელ აბდალოს მაღაზიის გამყიდველი და ი. ხეიდოვი — კოჩულოს საბჭოთა მეურნეობის მუშა.**

**პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცავი ორგანოები კონტროლს უწევენ რესპუბლიკაში შექმნილ სიტუაციას.**

**საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.**
(საქინფორმი).

## საკვებწარმოება — დამკვრელური უბანი



# დროულად და უდანაკარგოდ

**ᲐᲡᲔᲗᲘ ექსტრემალური კლიმატური პირობები, ესოდენ ხანგრძლივი და მსახვრალი გვალვა, საქართველოს სოფლის მშრომელებს შარშანდელი შემოდგომიდან მოყოლებული რომ ედგათ, რამდენიმე ათეული წელია არ ყოფილა. ათასობით ჰექტარზე გადაიბუგა და განადგურდა ნათესები, ასობით მილიონი მანეთია ზარალი.**

**ყველაფერი ეს ახლა განსაკუთრებით ზრდის საკვებწარმოების მნიშვნელობას, აუცილებელს ხდის იმას, რომ თვით ყველაზე მცირე რეზერვიც კი ჩავაყენოთ პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის სამსახურში.**

**ამის აუცილებლობას და მდგომარეობის სირთულეს კარგად გრძნობენ მცხეთის რაიონის მუხრანის მეხორცეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობენ გვალვას გადარჩენილი საკვების დროულად და უდანაკარგოდ ალება-დაბინავებისათვის.**

**ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: მუხრანის საბჭოთა მეურნეობაში ამზადებენ პირუტყვის საკვებს.**

**თედო ნიკოლაიშვილის („კომუნისტი") ფოტო.**

# მუშაობდა, ეძიებდა, ჰპოვებდა...

**„კომუნისტის“ მკითხველს ვთავაზობთ ედუარდ შევარდნაძესთან ინტერვიუს, რომელიც გამოქვეყნებულია „პრავიტელსტვენნი ვესტნიკის“ მე-14-15 ნომერში რუბრიკით — „წარმოგიდგენთ ქვეყნის მთავრობას: ბიოგრაფიის ფურცლები, პირველი ინტერვიუ“.**

**— ბატონო ედუარდ! თქვენ, შეიძლება ითქვას, ერთადერთი მინისტრი ბრძანდებით, რომლის კანდიდატურის განხილვამაც უმაღლესი საბჭოს კომისიებსა და კომიტეტებში, მის სესიაზე იოლად ჩაიარა. აღინიშნა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის წარმატებანი, საგარეო საქმეთა სამინისტროში გარდაქმნის ნაყოფიერება, მისი საკადრო შემადგენლობის განახლება, მუშაობის ახალი მეთოდები. როგორ აითვისეთ ასე სწრაფად იმ ინფორმაციის უდიდესი მასივი, რომელიც დაკავშირებულია თქვენთვის ამ ახალ საქმიანობასთან, როგორ მოასწარით საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციფიკური მექანიზმის ყველა ნიუანსში გარკვევა და ამ სფეროს გამდიდრება ახალი იდეებითა და მიდგომებით?**

— მომიტევეთ, მაგრამ ვერ დაგეთანხმებით, თითქოს სსრ კავშირის ახალმა უმაღლესმა საბჭომ ჩემი კანდიდატურა იოლად დაამტკიცა. ეს ხომ ფორმალური აქტი არ არის — სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრების პრაქტიკაში პირველად ჩაბარო ანგარიში სახალხო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს, წარუდგინო ქვეყნის მთავარი საგარეო-პოლიტიკური უწყების პლატფორმა, გამოგცადონ ნამდვილად დემოკრატიული პროცედურის მეშვეობით. ეს უმაღლეს ხელისუფლებასა და აღმასრულებელ ორგანოს შორის ურთიერთობის ახალი სისტემის დასაბამია, თვისებრივად ახალი მიჯნაა ჩემს პირად მუშაობაშიც და სამინისტროს საქმიანობაშიც.

მართალი გითხრათ, ვერ ვიტყვი, რომ კმაყოფილი ვიყო იმით, თუ როგორ მიგვიდის საქმე მე და ჩემს კოლეგებს. პრობლემები და გადაუწყვეტელი საკითხები უმრავია, დასახვეწი ძალიან ბევრია. ამიტომ ძნელი არ არის იმის მიხვედრა, თუ როგორი იყო ჩემი სულიერი მდგომარეობა, როცა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე მივდიოდი, რომელზეც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის კანდიდატურა უნდა განეხილათ. იმ ფაქტს კი, რომ ერთხმად დამამტკიცეს, იმის დასტურად ვთვლი, რომ ერთსულოვნად იწონებენ ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკას, რომლის შემოქმედი და განმხორციელებელი მისი უმაღლესი ხელმძღვანელობაა.

და თუმცა უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტში განხილვა პოზიტიური ტონით მიმდინარეობდა, ბევრი შენიშვნა და სურვილი გამოითქვა, რომლებსაც აუცილებლად გავითვალისწინებთ ჩვენს მუშაობაში.

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სურს უმჭიდროესად ითანამშრომლოს უმაღლესი საბჭოს ყველა კომიტეტთან და კომისიასთან, თითოეულ დეპუტატთან. საამისოდ ჩვენთან საგანგებო ქვეგანაყოფიც იქმნება და გეგმაც შემუშავდა. ვიმოქმედებთ რა კონსტიტუციური სრულუფლებიანი მექანიზმის ფარგლებში, ჩვენ არსებითად გავაფართოვებთ საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ფორმირების ბაზას, ხალხის წინაშე ანგარიშვალდებულს გავხდით მას, განვამტკიცებთ გარდაქმნის საგარეო-პოლიტიკურ ბაზას და მინიმუმამდე შევამცირებთ შეცდომებსა და ხარვეზებს.

რაც შეეხება საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე ჩემს „მორგებას“, აქ მე ნაცადი, პარტიულ მუშაობაში შეთვისებული წესით ვხელმძღვანელობდი. ვიმუშავე იმდენი, რამდენიც საჭირო იმისთვის, რომ საქმის არსს დავეუფლო. პრაქტიკულად ეს ნიშნავს 16-საათიან დღეს დასვენების დღეების გარეშე პირველ წელიწადნახევარ-ორ წელიწადში დანიშვნის დღიდან, ურთიერთობას პროფესიონალთა რაც შეიძლება ფართო წრესთან. მთავარი იყო, ნათლად ჩაგეწვდომოდი ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული საგარეო-პოლიტიკური კონცეფციებისა და კურსის პრიორიტეტებს. როცა იცი, საით მიდიხარ, უფრო იოლია სიარული. მით უმეტეს, როცა მხარში გიდგანან კეთილმოსურნე, კომპეტენტური კოლეგები, რომლებიც დიდად კვალიფიციურად გეხმარებიან. ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად მიმაჩნდა, ისინიც გატაცებულიყვნენ ახალი და მასშტაბური ამოცანებით. მე მგონია, ეს შევძელი. ამას დაუმატეთ ძალზე გახშირებული ვიზიტების გაცვლა. უცხოელ კოლეგებთან შეხვედრა, რომელთა უმრავლესობა დიპლომატიის დიდოსტატია. დაინტერესებული პრაქტიკოსისთვის ესეც ჩინებული სკოლაა.

საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩემი მოსვლა დროის მხრივ გარდაქმნის დაწყებას დაემთხვა. მან საგარეო პოლიტიკას მიანიჭა კოლოსალური ინტელექტუალური იმპულსი, რომელმაც გამოათავისუფლა, გააქტიურა დიდი შემოქმედებითი პოტენციალი, რომელიც თავმოყრილია სმოლენსკის მოედანზე მდებარე შენობაში.

რა თქმა უნდა, დაფნის გვირგვინებით არ ვტკბებით. საგარეო პოლიტიკის, დიპლომატიის გარდაქმნა მუდმივი, უწყვეტი პროცესია. მათ შორის საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრისთვისაც.

**— მუშაობის ახალი ფორმების ძიებით გამოირჩეოდა თქვენი მოღვაწეობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზეც. რესპუბლიკაში მაშინ საინტერესო სოციალურ-ეკონომიკური ექსპერიმენტები მიმდინარეობდა. მაგალითად, ფოთის ექსპერიმენტი, დღევანდელი დღის თვალსაზრისით, არსებითად, ნამდვილი ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბების გზაზე გადადგმული ნაბიჯი იყო. გამოდის, რომ თქვენ უკვე მაშინ გიგრძვნიათ ამ პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიების საჭიროება? რა აზრისა ხართ დღევანდელ დავაზე რეგიონალური სამეურნეო ანგარიშის პრობლემის გამო? ინტეგრაციის მსოფლიო ტენდენციების კონტექსტით, ერთიანი ბაზრის შესაქმნელად, ერთიანი ვალუტის შემოსაღებად ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების მუშაობის ფონზე როგორ აფასებთ იმათ პოზიციას, ვისაც სურს რეგიონალური სამეურნეო ანგარიშის იდეა ავტარკიამდე მიიყვანოს, ვინც თავისი, რესპუბლიკური ვალუტის შემოღებას ცდილობს?**

— იმ წლებში, რომლებსაც ახლა უძრაობის ხანას უწოდებენ, ბევრნი მწვავედ გრძნობდნენ ახლებური მიდგომის ძიების საჭიროებას. ბევრი ვერ ურიგდებოდა საქმის არსებულ მდგომარეობას. ეს კარგად არის ნათქვამი მ. ს. გორბაჩოვის წიგნში „გარდაქმნა და ახლებური აზროვნება“ — ცვლილებების პოტენციალი მართლაც მწიფდებოდა საზოგადოებრივ ცნობიერებაში. სხვა საქმეა, რომ ამა თუ იმ ზრახვების რეალიზაცია 1985 წლამდე ფერხდებოდა ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ სტრუქტურებში. ჩვენ ეს მთლიანად გამოვცადეთ საკუთარ თავზე, როცა „გაგვქონდა“ თქვენ მიერ ხსენებული ექსპერიმენტები — აბაშისა, ფოთისა და სხვები...

იძულებული ვიყავით მოგვესმინა უაზრო და არცთუ ისე უწყინარი ბრალდებანი, გვეწერა ახსნა-განმარტებანი. მაგრამ, ბედად, მაშინაც იყვნენ ამხანაგები, რომლებსაც ესმოდათ ჩვენი და მხარს გვიჭერდნენ.

საერთოდ, უნდა გითხრათ: ვისაც სურდა და შეეძლო, არც იმ უძრაობის წლებში ტკეპნიდა ერთ ადგილს. მუშაობდა, ეძიებდა, ჰპოვებდა. ბევრს კი ახლაც, ჩემი აზრით, ძიებისათვის საუკეთესო პირობებშიც კი, არ შეუძლია და არ სურს. წარსულს აბრალებენ თავიანთ დღევანდელ მარცხსა და ხარვეზებს.

თუ არა დღეს, მაშ როდის უნდა დაიწყო ძიება და ექსპერიმენტები? თუ არა დღეს, როდის უნდა გამოსცადო ნაირ-ნაირი სამეურნეო მოდელები და საკავშირო ატესტაციაზე გამოიტანო მათ შორის საუკეთესონი?

აბაშისა და ფოთის ექსპერიმენტების შედეგები რესპუბლიკის ყველა რაიონისა და ქალაქის კუთვნილებად იქცა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეურნეობრიობის ახალი სისტემისა და წესის საფუძველი გახდა.

იმავე წლებში ეყრებოდა საძირკველი რესპუბლიკურ სამეურნეო ანგარიშს. ჩვენ მაშინ თამამად ვნერგავდით საოჯახო იჯარას. ბევრ რაიონში იჯარით ვძლევდით მიწის ნაკვეთებს, სათიბებსა და ფერმებს.

იჯარა ქალაქშიც ინერგებოდა. მაგალითად, სატრანსპორტო გაერთიანებანი მძღოლებს იჯარით აძლევდნენ ავტობუსებსა და მსუბუქ ტაქსებს; ანდა ისეთი სიახლე, როგორიცაა საოჯახო იჯარა მომსახურების სფეროში. ოჯახი იჯარით იღებდა რესტორანს და მიწის ნაკვეთს, რომელზეც აწარმოებდა მთელ ძირითად სასურსათო პროდუქტებს, შემდეგ რესტორნის სამზარეულოში და სასადილო დარბაზში რომ მიდიოდა. არავითარი „იერიშები“ სახელმწიფო ვაჭრობის საწყობებზე, რასაც დღეს მვრება ზოგიერთი რესტორატორ-კოოპერატორი, არავითარი გულეტა მუშტრისა...

ყველა ამ ექსპერიმენტს გასაკვირი ეკონომიკური და, შესაბამისად, სოციალური და ფსიქოლოგიური შედეგი მოჰქონდა. ხელსაყრელი იყო არა მარტო მოიჯარეებისა და მათი მუშტრებისთვის, არამედ სახელმწიფოსათვისაც. სუსტდებოდა სპეკულაციის ტალღა, ჯანსაღდებოდა პროდუქციის დამზადებისა და რეალიზაციის სფერო. პრაქტიკულად აღიკვეთა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ციტრუსების უკონტროლო გატანა. ამას დამამზადებელი სისტემის რეორგანიზაციის, მწარმოებელთან მისი მიახლოების მეშვეობით მივაღწიეთ. იგივე გაკეთდა სარძეო და სახორცე მეცხოველეობაში. ამ სისტემის გარდაქმნის წყალობით სოფლის მცხოვრებნი საბჭოთა მეურნეობებთან და კოლმეურნეობებთან ახალი ურთიერთობით დაინტერესებულნი აღმოჩნდნენ.

ჯერ კიდევ იმ წლებში ვიგრძენით, რომ ძალზე ცუდად იყო ფულის მიმოქცევის საქმე. ვბჭობდით საბანკო სისტემის, საშემნახველო და სადაზღვეო საქმის რეორგანიზაციაზე. მახსოვს, ორი წლის განმავლობაში ვმსჯელობდით ამაზე და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საგანგებო პლენუმს ვამზადებდით.

მენანება, რომ ბევრი რამ ვერ მოვასწარით.

ახლა სამეურნეო ანგარიშზე. რეგიონალური და რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიში, ჩემი აზრით, გულისხმობს კოოპერირების ფართოდ დაქსელილი სისტემის ფორმირებას როგორც რესპუბლიკისა თუ რეგიონის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ამოცანა ის კი არ არის, რომ დავარღვიოთ, არამედ პირიქით — განვამტკიცოთ და განვავითაროთ ჩამოყალიბებული კავშირურთიერთობანი და რესპუბლიკების, რეგიონებისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის გამოვიყენოთ ინტეგრაციის შესაძლებლობანი.

ახლა ევროპის გაერთიანებული ბაზრის შესახებ. „გაერთიანებული ევროპის“ შექმნის განზრახვა არ ხელყოფს მასში შესულ სახელმწიფოთა სუვერენიტეტს. ისინი დამოუკიდებელნი რჩებიან ინტეგრაციის პროცესის გაღრმავების დროსაც. უფრო მეტიც, ამ პროცესის მეშვეობით სახელმწიფოების, ახლა უკვე ეკონომიკურად მოღონიერებული სახელმწიფოების, სუვერენიტეტი უფრო სრული ხდება.

მოკავშირე რესპუბლიკის სამეურნეო, ეკონომიკური სუვერენიტეტი კონსტიტუციური დებულებაა. მაგრამ პრაქტიკულად მას ხორცს ვერ შევასხამთ, თუ ერთიანი სახალხო-სამეურნეო სისტემის ფარგლებში ინტეგრაციისა და კოოპერირების ყველაზე მოწინავე ფორმებს არ გამოვიყენებთ.

რეგიონალური და რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიშის იდეა ცენტრალურ უწყებათა დაუოკებელი დიქტატის საპირისპიროდ იშვა. მე მესმის მისი ავტორებისა, რადგან პირადი გამოცდილებით ვიცი, რა ძნელია საკუთარ სახლს მოუარო, როცა ამ სახლში არსებითად უპიდიშოდ პარპაშობს ვიღაც სხვა — ყოვლისშემძლე მბრძანებელი. დღენიადაგ ვიღაცაზე ხარ დამოკიდებული, ვიღაცას ეხვეწები, ვიღაცას ეფერები...

ფოთის ექსპერიმენტის იდეა ამ ანომალიის თავიდან მოშორების თავგამოდებული ცდების ნაყოფი იყო. და მაინც, კარგი გამოდგა ფოთის მოდელი, რადგან მოვახერხეთ აქ ჰარმონიულად შეგვეწყა ტერიტორიისა და დარგების, ქალაქისა და რესპუბლიკის, რესპუბლიკისა და კავშირის ინტერესები.

არა, ძიება, ექსპერიმენტები საჭირო. მიზანი კი ის არის, რომ მივაგნოთ ისეთ „ინტერესთა ბალანსს“, რომლის დროსაც რეგიონალური სამეურნეო ანგარიში არას ავნებს ერთიან ეკონომიკურ სისტემას, პირიქით, გაამდიდრებს, განამტკიცებს მას და ამით რესპუბლიკის მეურნეობასაც.

**— ბატონო ედუარდ, თქვენი აზრით, როგორ ყალიბდება სახელმწიფო მოღვაწის პოლიტიკური სახე? თქვენ, როგორც უკვე გამოცდილი მინისტრი და აღიარებული დიპლომატი, რას ურჩევდით იმათ, ვინც ახლა იწყებს მთავრობაში მუშაობას, ვინც პირველად ჩაიბარა მინისტრის პორტფელი?**

— ძნელია ასეთი რჩევის მიცემა, განსაკუთრებით მაშინ, როცა კარგად იცი, რომ წინათ შეძენილი გამოცდილება დღევანდელი შეცდომებისგან ვერ გიხსნის. ეს კაპიტალი თვალსა და ხელს შუა დნება, თუ ყოველდღიურად არ შემატე რამე.

ძნელი სათქმელია, როგორ ყალიბდება სახელმწიფო მოღვაწის პოლიტიკური სახე. მარტივად რომ ვთქვათ: სიტყვიდან და საქმიდან, მათი ერთიანობიდან, კომპეტენტურობიდან და ერუდიციიდან, ზოგადი და სპეციალური კულტურიდან. მაგრამ ცხოვრებაში ხშირად ასეც ხდება: კაცი ქანცის გაწყვეტამდე მუშაობს, საქმის ერთგულია, კიდეც იცის ეს საქმე, მაგრამ ხალხის მხარდაჭერა აკლია. ალბათ, ადამიანები უნდა გრძნობდნენ, რომ საქმის უკან იგი მათაც ხედავს.

ხალხის თვალში სახელმწიფო მოღვაწის პოლიტიკური სახე ის არის, რომელიც მათს მისწრაფებებს შეესაბამება. არაფერია ნდობის კრიზისზე უარესი, როცა იმის შედეგად იქმნება, რომ ხალხი არ იცნობს, არ ესმის ხელმძღვანელისა და, რაც მთავარია, — არ ჩანს შედეგი. ამ შემთხვევაში ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს საჯაროობას, ადამიანის დემოკრატიული ხედვის ოპტიკას. და, რაღა თქმა უნდა, იგი ყრუ არ უნდა იყოს საზოგადოებრივი აზრისადმი, მაგრამ, არც უნდა მოერგოს მას, არამედ შინაგანი რწმენით მოქმედებდეს.

შეფასებით კი ხალხმა შეაფასოს.

ღია საზოგადოების, სამართლებრივი სახელმწიფოს, ნამდვილი დემოკრატიული სტრუქტურების მოქმედების პირობებში შეცდომასაც უფრო ადვილად აიცდენ.

# უცხოეთი

4 აგვისტო

● იაპონია

## გაიხსნა ანტიბირთვული კონფერენცია

**ტოკიო.** ჰიროსიმაში ომის საწინააღმდეგო აქციების სერიით, საერთო სახელწოდებით „მშვიდობის ტალღა“, გაიხსნა საერთაშორისო ანტიბირთვული კონფერენცია, იაპონიის ამ ქალაქის ატომური დაბომბვის 44-ე წლისთავის აღსანიშნავად.

კონფერენციაში, რომელიც იაპონიის ატომური და წყალბადის ბომბის აკრძალვისათვის მებრძოლი საბჭოს (გენსუიკიო) ინიციატივით მოეწყო, მონაწილეობენ იაპონიის მასობრივი ომის საწინააღმდეგო ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე 28 ქვეყნის დელეგაციები.

სხდომების დაწყების წინ ხუთი კონტინენტის წარმომადგენლები შეიკრიბნენ ჰიროსიმის მშვიდობის პარკში, სადაც მიიღეს მიმართვა პლანეტის ხალხებისადმი. ატომური იარაღის სრული ლიკვიდაციის იდეას, ნათქვამია მიმართვაში, დღეს მხარს უჭერს დედამიწის თითქმის ყველა ადამიანი. მაგრამ გამალებული ბირთვული შეიარაღება ჯერ კიდევ გრძელდება, კვლავინდებურად ამუშავებენ სტრატეგიული და ტაქტიკური იარაღის საზღვაო ბაზირების საშუალებათა ახალ სახეობებს. ხელი არ აუღიათ კოსმოსში ბირთვული იარაღის გატანის გეგმებზეც.

ამ პირობებში, აღნიშნულია დოკუმენტში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კეთილი ნების ადამიანთა ძალისხმევის გაერთიანება. ჩვენ გვაქვს, ნათქვამია მიმართვაში, რომ დღეს დაწყებული „მშვიდობის ტალღა“ კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება უომო და უბირთვოიარაღო მსოფლიოს შექმნისათვის პლანეტის ყველა ხალხის შეკავშირების გზაზე.

კონფერენციის მუშაობის პირველი ნაწილი გაგრძელდება 6 აგვისტომდე, ჰიროსიმის ხსოვნის დღემდე. შემდეგ მისი მონაწილენი წავლენ ნაგასაკში, ქალაქში, რომელმაც 1945 წლის 9 აგვისტოს აგრეთვე განიცადა ატომური დაბომბვა.

◆ თურქეთი

## დაბრუნდებიან სამშობლოში

**ანკარა.** მიღებულია გადაწყვეტილება, სამშობლოში დაბრუნდნენ თურქეთის გაერთიანებული კომუნისტური პარტიის საზღვარგარეთ მყოფი ლიდერები, იუწყება ანკას სააგენტო, რომელიც იმოწმებს თურქი კომუნისტების საინფორმაციო ცენტრის „ბირლიკის“ ევროპის ბიუროს ინფორმაციას.

თურქეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადებით, პარტიის თავმჯდომარის პირველი მოადგილის მეჰმედ კარაჯას და გენერალური მდივნის მოადგილის ოსმან საკალსიზის გარდა, კომპარტიის ყველა სხვა ხელმძღვანელი უახლოეს თვეებში დაბრუნდება თურქეთში, თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის ლეგალიზაციის მიზნით, დემოკრატიისათვის ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად.

◆ ლიბანი

## მოითხოვენ მძევლების გაცვლას

**ლონდონი.** „რევოლუციური სამართლის ორგანიზაციამ“, რომელსაც მძევლად ჰყავს ამერიკელი მოქალაქე ჯოზეფ სისიპიო, გვადადო მისი სიკვდილით დასჯა კიდევ ოთხი საათით.

სისიპიო გაიტაცეს 1986 წლის 12 სექტემბერს. ორგანიზაციამ გასულ ორშაბათს განაცხადა, რომ იგი სიკვდილით დასჯის ტყვეს, თუ ისრაელი, უახლოეს 48 საათის განმავლობაში არ გაანთავისუფლებს „ჰეზბოლას“ დაჯგუფების ლიდერს, შეიხ აბდულ ქარიმ ობეიდს, რომელიც გაიტაცა ისრაელის კომანდოსმა.

„რეიტერის“ სააგენტო ბეირუთიდან იუწყება, რომ „რევოლუციური სამართლის ორგანიზაციამ“ დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოებს გადასცა ვიდეოფირი, რომელშიც სისიპიო მოუწოდებს აბდელ ქარიმ ობეიდის განთავისუფლებას.

● ჩილე

## პლებისციტის წინასწარი შედეგები

● **ბუენოს-აირესი.** სანტიაგოდან მიღებული ცნობების თანახმად, ჩილეში აჯამებენ ოპოზიციის ზეგავლენით ხელისუფალთა მიერ შემუშავებული კონსტიტუციის პროექტისადმი დამოკიდებულების შესახებ პლებისციტის შედეგებს. წინასწარი მონაცემებით, ჩილელთა 85,7 პროცენტმა ხმა მისცა რვა წლის წინათ იმ რეფერენდუმზე დამტკიცებული ქვეყნის კონსტიტუციის რეფორმას, რომელიც მიმდინარეობდა საგანგებო წესების პირობებში და რომლის შედეგები დაამახინჯეს.

რეფორმის პროექტი შეიცავს ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის 54 შესწორებას, კერძოდ, მე-8 მუხლის გაუქმებას, რომლის ნიღბით რეჟიმი დევნიდა და პოლიტიკურ უფლებებს ართმევდა პროგრესულად მოაზროვნე მოქალაქეებს. გათვალისწინებულია აგრეთვე სახელმწიფოს მეთაურს წაერთვას იმის უფლება, რომ თავისი შეხედულებისამებრ დაითხოვოს პარლამენტი და მიანიჭოს დეპუტატებს კონსტიტუციის შემდგომი გადასინჯვის უფლებამოსილება. პრეზიდენტის მანდატი უნდა შემცირდეს 8-დან 4 წლამდე, სენატორთა რიცხვი გაიზარდოს 26-დან 38-მდე. ეროვნული უშიშროების საბჭოში შევა სამოქალაქო ხელისუფალთა ოთხი წარმომადგენელი.

როგორც ჩილეს რადიკალური პარტიის თავმჯდომარემ ენრიკე სილვა სიმამ აღნიშნა, პლებისციტის მოწყობა შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც შარშან, 5 ოქტომბერს რეფერენდუმის დროს დაამარცხეს პინოჩეტი.

ოპოზიციისაგან ქვეყნის პრეზიდენტობის კანდიდატმა პატრისიო ეილვინმა განაცხადა, რომ პლებისციტი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი გახდა ჩილეში ნამდვილი დემოკრატიის მიღწევის გზაზე.

### ტელეტაიპის ლენტიდან

**ქაბული.** ბოლო ხანს სულ უფრო მეტი და მეტი ოპოზიციური ორგანიზაციები ამყარებენ კავშირს ავღანეთის რესპუბლიკის მთავრობასთან მშვიდობიანი მოლაპარაკების გასამართად. ბახტარის საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, „ავღანელი ხალხის რევოლუციური საზოგადოება“ (ჯამა) მზად არის ამ მიზნით თავისი წარმომადგენლები გაგზავნოს ქაბულში. ავღანეთის მთავრობაც, ნათქვამია განცხადებაში, ასევე მზად არის ამ ორგანიზაციასთან მოლაპარაკებისათვის და აცხადებს, რომ უზრუნველყოფს ჯამას წარმომადგენელთა სრულ ხელშეუხებლობას.

**ათენი.** ჯერაც არავინ იცის, თუ რა პირობებში მოხდა საბერძნეთის ავიაკომპანიის „ოლიმპიკ ეირუეიზის“ სამგზავრო თვითმფრინავის კატასტროფა. იგი გუშინწინ ეგეოსის ზღვაში, სამოსის კუნძულის მახლობლად დაიღუპა. ავიაკომპანიის ხელმძღვანელთა ცნობით, თვითმფრინავში 31 მგზავრი, მათ შორის ერთი ბავშვი და ეკიპაჟის სამი წევრი იყო.

**ტოკიო.** იაპონიის მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერების ფოტოსურათებით არის აჭრელებული ქვეყნის თითქმის ყველა გაზეთი და ჟურნალი. მათი სახელებისა და გვარების ჩამოთვლით იწყებენ ახალი ამბების პროგრამებს სატელევიზიო კომპანიების წამყვანი დიქტორები. ბოლო ხანს ყველაზე ხშირად ასახელებენ განათლების ყოფილ მინისტრს, 58 წლის ტოსაკი კაიფუს. სწორედ მას უწინასწარმეტყველებენ ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის სავარძელსაც და, ბუნებრივია, ქვეყნის პრემიერ-მინისტრის პოსტსაც.

### ფოტოინფორმაცია



**როგორ** ფიქრობთ, სად არის გადაღებული ეს ფოტოსურათი? ალბათ, უცებ დასახელებთ რამდენიმე ქვეყანას — აშშ-ს, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას, სალვადორს... არა და არა! ეს სიუჟეტი გადაღებულია... შვეიცარიაში. დიახ, იმ ქვეყანაში, რომლის მცხოვრებთა რამდენიმე თაობა ომს წიგნებიდან, გაზეთებიდან თუ კინოფილმებიდან რომ იცნობს; მაგრამ, ამ ბოლო ხანს ამ ქვეყნის მთავრობამ დაიწყო შეიარაღებული ძალების მოდერნიზაცია, ეწყობა ურიცხვი მანევრები, თუმცა ქვეყანას, სადაც საბრძოლო იარაღზე უკეთ ბანკის სეიფების გასაღებებს ხმარობენ, არსაიდან არ მოელის საფრთხე.

შვეიცარიაში ნამდვილი „სამხედრო ‚ბუმი‘“ დაიწყო და ეს სურათიც მისი გამოძახილია.

**საქდესის ფოტო.**

პოზიცია

# სუვერენიტეტის გზა

**დეპუტატ ვალერიან ადვაძის გამოსვლა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე**

**როგორც ცნობილია, ახლახან რესპუბლიკის პრესაში საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდა საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების პროექტი, რომელიც სათანადო შესწორებებისა და დამატებების შემდეგ ჩვენი ეკონომიკური სუვერენიტეტის საფუძველი უნდა გახდეს.**

**რესპუბლიკის ფართო საზოგადოებრიობამ კარგად იცის ისიც, თუ აზრთა როგორი სხვადასხვაობა, ცხოველი კამათი და ინტერესი გამოიწვია ახლახან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების პროექტმა სამეურნეო ანგარიშის მეთოდით მუშაობაზე გადასვლის შესახებ. ამის თაობაზე მიღებულია სათანადო დადგენილება.**

**ამ საკითხის გამო სესიაზე გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის სახალხო დეპუტატმა, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ვალერიან ადვაძემ.**

მე მგონია, ნათელია, თუ რაოდენ გართულდა სიტუაცია. მხედველობაში მაქვს არა დღევანდელი პრობლემა, არამედ საერთოდ ქვეყნის ეკონომიკა. გარდაქმნა დაკლაკნილი ბილიკებით მიდის. უკვე მეხუთე წელია გარდაქმნა დავიწყეთ და ჯერაც არ გადაწყვეტილა არც ერთი დიდი ეკონომიკური, სოციალური თუ ეროვნული პრობლემა. პირიქითაც კია. ეს პრობლემები კიდევ უფრო გამწვავდა. ძირითადად უკვე დავამტკიცეთ ქვეყნის მთავრობა. ახლა მას თითქოს ისღა დარჩენია, ხელი მოჰკიდოს საქმეს და ეკონომიკური კრიზისიდან გამოიყვანოს ქვეყანა. ასე გვგონია ყველას და ძალიანაც ვცდებით. მთავრობა ამას ვერ იზამს. ჩემი აზრით, ეს გარდამავალი პერიოდის გარდამავალი მთავრობაა. მთავრობას ორი გარდამავალი პერიოდი მოელის.

პირველი. ეკონომიკის მართვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდებიდან ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლა; ესე იგი ეკონომიკა, რომელიც ათწლეულების მანძილზე ხელოვნურ მდგომარეობაში იყო, ბუნებრივ მდგომარეობაში უნდა გადავიყვანოთ, რათა განვითარდეს იმ ობიექტური ეკონომიკური კანონების ბაზაზე, რომლებზეც ჩვენ ყველანი — პოლიტეკონომისტები, და არა მარტო პოლიტეკონომისტები, დაჟინებით ვლაპარაკობდით, ხელისუფალნი კი არასოდეს ყურს არ გვიგდებდნენ, არასოდეს არ უწევდნენ ანგარიშს ამ ობიექტურ კანონებს. ეს — პირველი გადასვლა. და მეორე. ეს არის გადასვლა ცენტრალიზმიდან დეცენტრალიზაციაზე, ანუ მეურნეობის მართვის გადაცემა მოკავშირე რესპუბლიკებისათვის, რათა ყოველმა რესპუბლიკამ საკუთარი სახლი მოაწესრიგოს, თანაც, ცხადია, გაითვალისწინოს სახალხო-სამეურნეო კომპლექსის წინაშე თავისი ვალდებულებანი და მეტი პასუხისმგებლობა. ბოლოს და ბოლოს, ცენტრში უნდა გაიგონ, რომ შეუძლებელია ამ უზარმაზარი ქვეყნის ეკონომიკის მართვა ერთი ცენტრიდან. თვალს ვერ გააწვდენ თვალუწვდენელს, ვერ დაიქვემდებარებ ამ უზარმაზარ ეკონომიკას. აბსოლუტური ძალაუფლება აბსოლუტურ გახრწნას იწვევს. ამასთან დაკავშირებით ვერ შეიძლება არ შევეხოთ ერთ გავრცელებულ თეზისს, ანუ როგორც გაზეთებში წერენ ხოლმე, აფორიზმს „ძლიერი ცენტრი — ძლიერი რესპუბლიკა“. რას ნიშნავს „ძლიერი ცენტრი“? თუ ლაპარაკია ეკონომიკურ ძლიერებაზე, ყოვლად გაუგებარი გამოთქმაა. უფრო გასაგები იქნებოდა გვეთქვა: „ძლიერი რესპუბლიკები — ძლიერი ქვეყანა ან ძლიერი კავშირი“. მაგრამ თუ ლაპარაკია მართვაზე, აქ კი სწორედ ეს იგულისხმება, მაშინ „ძლიერი ცენტრი — ძლიერი რესპუბლიკები“, ან, თუნდაც, პირიქით, აბსოლუტური ნონსენსია. როცა სამმართველო ფუნქციები თავმოყრილია ცენტრში, ანუ იგი ძლიერია, მაშინ რესპუბლიკები სუსტნი არიან, და პირიქით; ისინი ერთდროულად ძლიერები ვერ იქნებიან. რას ნიშნავს „ძლიერი ცენტრი“? ალბათ, თუ მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ხელმძღვანელობის ზოგადი პრინციპების შესახებ კანონპროექტის გამო გამოვალ, მაშინ ვიტყვი, ახლა ამის დრო არ არის. მაგრამ სანამდე მიგვიყვანა „ძლიერმა ცენტრმა“? „ძლიერმა ცენტრმა“ რომ ეკონომიკა გააპარტახა, ამას თვითონვე ვგრძნობთ, ვხედავთ. მაგრამ ვისი ბრალია ეს, თუ არა „ძლიერი ცენტრისა“?

აქ ლაპარაკი იყო კონსტიტუციაზე, მისი მოქმედების შეჩერება არ შეიძლებაო. იცით, მე ასეთი შთაბეჭდილება შემექმნა: ჩვენ ყველანი უფსკრულის პირას ვდგავართ. ლიტველებმა და ესტონელებმა მოისურვეს უკან გადადგან ნაბიჯი უფსკრულიდან, ჩვენ კი მივადექით ჩვენი კონსტიტუციით და ვეუბნებით: „საით, რას შვრებით, თქვენი მიმართულება კონსტიტუციის ამა და ამ მუხლის ამა და ამ პუნქტს ეწინააღმდეგებაო“. ჩვენს ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა შეიქმნა. ჩვენ ეს-ეს არის ჩავაქრეთ (ჩავაქრეთ კი?) ცეცხლი, რომელიც ჩვენმა მეშახტეებმა აბრიალეს. მაგრამ ხვალაც რომ აბრიალდეს ეს ცეცხლი, რით ჩავაქროთ? რთული, ურთულესი, ძალზე საშიში სიტუაციაა. ჩვენ კი ვლაყბობთ, არ შეიძლება, კონსტიტუციას არ შეესაბამებაო და ასე შემდეგ. რაზეა ლაპარაკი? განა კონსტიტუციას შეესაბამება ის ვითარება, რომელიც ჩვენს ქვეყანაშია? კონსტიტუციაში ჩაწერილია, რომ ჩვენში განვითარებული სოციალიზმია. ამ უზარმაზარ ქვეყანას კი, თავისი უდიდესი ბუნებრივი რესურსების, ადამიანთა რესურსების პატრონს, საკუთარი მოსახლეობა ვერ გამოუკვებია. აი, ჩვენი კონსტიტუცია! ცხოვრებამ უკვე შეაჩერა ჩვენი კონსტიტუციის მოქმედება, ჩვენ კი რაღაც მუხლებს ვებღაუჭებით, როცა ქვეყანაში საგანგებო ვითარებაა.

მე ვიცნობ ბალტიისპირა რესპუბლიკების მთელ მასალებს. შარშანდელი წლის მიწურულს საგანგებოდ ჩავედი იქ. მე მგონია, მათი ყველა დოკუმენტი ითვალისწინებს ჩვენს ქვეყანაში და ამ რესპუბლიკებში არსებულ რეალიებს, ითვალისწინებს თანამედროვე ეკონომიკურ, პოლიტიკურ და იურიდიულ აზროვნებას. თქვენც ხომ მოისმინეთ აქ მათი გამოსვლები. თქვენ იცით, როგორ არის ეს ყველაფერი დასაბუთებული. ვერ გამიგია, რატომ ვეუბნებით უარს ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე. ეს გონივრული არ არის. გონიერებამ უნდა გაიმარჯვოს. რატომ ვეუბნებით უარს? ისინი გზას გვიჩვენებენ. ჩვენ ახლა ამ დოკუმენტებს სხვა, პოლიტიკური თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ. ეს მარტო მოკავშირე რესპუბლიკებსა და მთლიანად კავშირს კი არ ეხება, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობასაც იძენს. აქ ლაპარაკია იმაზე, ჩვენი დემოკრატიზაცია ლიტონი სიტყვებია თუ მართლაც დემოკრატიზაციის გზას ვადგავართ, მივანიჭებთ თუ არა ეკონომიკურ სუვერენიტეტს მოკავშირე რესპუბლიკებს. საქართველოშიც მზადდება ასეთი დოკუმენტები, სადაცაა დავამთავრებთ.. ასე რომ, ამაზეა ლაპარაკი და ამ თვალსაზრისით უნდა შევხედოთ საქმეს.

შემდეგ. უყურეთ, ამ რესპუბლიკების ხალხებს სწყურიათ ეს. ისინი, თანაც არა მარტო ეს ხალხები, სასოებით შემოგვყურებენ, რას გადავწყვეტთ. ზოგჯერ გვირეკავენ, დეპეშებს გვიგზავნიან ჩვენი ამომრჩევლები, გვეკითხებიან: რას შვრებით მანდ, თუ უმაღლეს საბჭოს ეკონომიკურ სუვერენიტეტზე კანონი ვერ მიუღია, დაბრუნდით და აქ საქმეს მიხედეთო. ჩვენ ყოველნაირად უნდა დავუჭიროთ მხარი და მივიღოთ ეს. მაშინვე წამოიჭრება ხოლმე საკითხი: კავშირმა რაღა ქნასო? მაგრამ ვინ იძლევა იმის გარანტიას, რომ ახლანდელი ფორმით შევძლებთ შევინარჩუნოთ ეს კავშირი; ჩვენ ვამბობთ, რომ ეს „სტალინური ფედერალიზმია“, მაგრამ „სტალინური ფედერალიზმისთვის“ ჯერ თითიც არ დაგვიკარებია... გარდაქმნის მეხუთე წელია. მე გთხოვთ, მხარი დაუჭიროთ ლიტვისა და ესტონეთის ეკონომიკური დამოუკიდებლობის კანონპროექტს. ჩვენ კი უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ გარდავქმნათ ჩვენი კავშირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ კავშირი შეიძლება იყოს მხოლოდ სუვერენულ, თანასწორუფლებიან სახელმწიფოებს შორის, თანაც კავშირის ფორმები ზემოდან კი არა, რესპუბლიკებმა უნდა გვიკარნახონ. მხოლოდ ასე თუ შევინარჩუნებთ კავშირს.

საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროში

# ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე

**სულ** ახალ-ახალი ნაბიჯები იდგმება ჩვენი რესპუბლიკის რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის მიღწევის გზაზე. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს, რა თქმა უნდა, განზე არ უდგას არც საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელიც სულ უფრო აქტიურად მოქმედებს საზღვარგარეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, კულტურული და სხვა ფორმების ეფექტიანობის ზრდის, საერთაშორისო სარბიელზე რესპუბლიკის ავტორიტეტის განმტკიცების მიზნით.

ახლახან მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ედუარდ შევარდნაძისა და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის გიორგი ჯავახიშვილის შეხვედრა. გაიმართა საუბარი რესპუბლიკის საგარეო ურთიერთობის მთელი კომპლექსის განვითარებისა და იმ ნაბიჯების შესახებ, რომლებსაც მისი ხელმძღვანელობა დგამს ამ მიმართულებით. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს როლისა და ადგილის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ახლახან მიღებული ერთობლივი დადგენილების შესაბამისად, რომლის მიხედვით სამინისტრო მოწოდებულია გააქტიუროს და გაამრავალფეროვნოს მუშაობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის ყველა ფორმის განვითარებისათვის, იქმნება რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგია, რომელიც განიხილავს საერთაშორისო კონტაქტების მდგომარეობასა და პერსპექტივებს, შეიმუშავებს მათი მოგვარების რეკომენდაციებს.

რესპუბლიკაში საპატიო სტუმრებისა და დელეგაციების მიღების სათანადო დონის უზრუნველყოფის მიზნით მათი ყოფნის პროგრამებს ამიერიდან სამინისტროები და უწყებები მოამზადებენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით და მასთან შეთანხმებით. გარდა ამისა, აქ შექმნილია საზღვარგარეთის ურთიერთობის კოორდინაციის საკითხთა სამმართველო.

სამინისტრო მონაწილეობს მენეჯერთა სკოლის, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის დარგში ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების მოსამზადებელი განყოფილების შექმნაში. იქმნება დასავლეთ ევროპის ერთ-ერთ ფირმასთან ერთობლივი საკონსულტაციო-საშუამავლო საწარმო.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგებთან ერთად წყდება საკითხი იმ ქვეყნებში სსრ კავშირის საელჩოში საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური თანამშრომლების რეგულარული გაგზავნის შესახებ, სადაც რესპუბლიკას აქვს გარკვეული ინტერესები.

ამ დღეებში სამინისტრომ წამოაყენა ახალი წინადადებანი და პროექტი საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს ორგანიზაციისა და ჩვენთან ამ ორგანიზაციის საბჭოს შექმნის ფონდის შესახებ. ამ უპრეცედენტო იდეას, რამდენადაც რესპუბლიკა არ არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი, ფართოდ უჭერენ მხარს როგორც ჩვენი მთავრობა, ისე იუნესკოს გენერალური მდივანი ფედერიკო მაიორი. როგორც ცნობილია, იუნესკოში წარმოდგენილი არიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები.

მხარი დაუჭირა რა ამ წინადადებას, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შექმნა საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭო, რომლის ძირითადი ამოცანაა ჩვენი. კულტურული, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა იუნესკოს საპროგრამო საქმიანობაში, მისი ჩაბმა საქართველოს საზოგადოებრიობის საქმიანობაში, რომლის მიზანია რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის მიღწევა, ფართო დემოკრატიულ საფუძველზე იუნესკოს ექსპერტებად სამუშაოდ მათი გაგზავნისათვის სპეციალისტების დამოუკიდებელი შერჩევა.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებას, დააფუძნოს სამინისტროს ინიციატივით იუნესკოს საბჭოს განათლების ფონდი საზღვარგარეთის სწავლების ცენტრებში მოსწავლეების, სტუდენტების, ასპირანტების, სტაჟიორებისა და მენეჯერების მომზადების ორგანიზაციისა და დაფინანსებისათვის. განათლების ფონდის საქმიანობის მიზანი იქნება სპეციალისტების მომზადება, უპირველეს ყოვლისა, რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებებით.

განათლების ფონდი სამეურნეო-ანგარიშიანი ორგანიზაციაა, რომელსაც ექნება დამოუკიდებელი ბალანსი და თავისი საანგარიშსწორებო და სავალუტო ანგარიში ბანკში. მას აქვს ერთობლივი საწარმოების შექმნის უფლებაც.

ამრიგად, რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს, ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ ერთობლივ საწარმოებსა და კოოპერატივებს, კერძო პირებს კარგი შესაძლებლობა ექნებათ ხელი შეუწყონ რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის მიღწევას და დაეხმარონ საქართველოს იუნესკოს საბჭოს განათლების ფონდს თავიანთი ნებაყოფლობითი შენატანებით.

(საქინფორმი).

## ბოლნისის რაისაბჭოს სესია

**4 აგვისტოს** გაიმართა ბოლნისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

სესიამ შ. მ. ყულიევი გაათავისუფლა ბოლნისის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ბოლნისის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია შ. დ. რეხვიაშვილი, რომელიც საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომის მეორე მდივნად მუშაობდა.

(საქინფორმი).

## დღესასწაულის აღსანიშნავად

**4 აგვისტოს** თბილისში გაიმართა ამიერკავკასიის მშრომელთა საზეიმო კრება, რომელიც რკინიგზელის დღეს მიეძღვნა.

სხდომის დასასრულს დარგის მოწინავეებს გადაეცათ „საპატიო რკინიგზელის“ სამკერდე ნიშნები და ფასიანი საჩუქრები.

(საქინფორმი).

# ფაქტი * მოვლენა * კომენტარი

ნოდარ გურეშიძე

## როდემდე?

როდემდე უნდა ვიმართლოთ თავი,
ვისთან, ან რა გვაქვს დანაშაული,
რით ვერ გაირკვა თეთრი და შავი,
ვისთან გამტყუნდა ჩვენი მამული?!

ვის მივუვარდით, ვისი რა გვმართებს,
ვის მივაყენეთ ამდენი წყენა?
ან იქნებ ვინმეს სამშობლოს ვართმევთ,
ან იქნებ ვინმეს ვუკრძალავთ ენას?!

იქნებ დევნილი არ შევიფარეთ,
ან თვითონ გავხდით სხვათა მდგმურები,
სიყვარულისთვის არ შევიყვარეთ,
ვართ გულბოროტი უმადურები?!

იქნებ არა ვართ სტუმართმოყვარე,
ან ძმობის პური ჩვენ არ ვაკურთხეთ,
ან ისტორია ვინმეს მოვპარეთ,
ან სხვისი მიწა მივისაკუთრეთ?!

ან იქნებ კარი გამოვიკეტეთ,
სხვისი არჩივი გავინაწილეთ...
რად ვერ ხედავენ ამ ჩვენს სიკეთეს,
რატომ გვებრძვიან, რისთვის გაგვწირეს?!

მშობელო ხალხო, რომ გვაქვს ნათელი
მხარე, ოქროს ცვრით გადანამული,
რომ ვართ ამაყნი და ვართ ქართველნი, —
ეს არის ჩვენი დანაშაული?!

არ გაპატიეს, რაც გითესია
სიკეთე, სხვებსაც რომ აზიარე,
მისთვის გჩეხავენ, გკლავენ, გესვრიან,
მისთვის გიჩენენ ამდენ იარებს;

რომ ვერ გაგვტეხა დროის დინებამ
და მაინც დავრჩით ქედმოუხრელნი,
რომ უდრტვინველად და მოთმინებით
არ გვიზიდია ბედის უღელი;

რომ სხვა სიცოცხლეს არ ვისურვებდით,
მომაელისათვის ბრძოლის გარეშე,
რომ ქარიშხალმა თავისუფლების
მძლავრად დაჰბერა მშობელ მხარეში;

და როცა მტერი ბოღმით ივსება,
სახე ემღვრება და ელვარჭნება, —
ჩვენ უფრო ვიცით ჩვენი ღირსება
და რაინდული თავის დაჭერა;

დროის ძახილზე დაუყოვნებლივ,
რახან მამულის დროშა გავშალეთ
და არ გვსურს ვიყოთ სხვათა მონები
აი, ამიტომ ვართ დამნაშავე?!

აბა, სხვა მეტი ვისი რა გვმართებს,
ვის მივაყენეთ რაიმე წყენა,
ვის ვედავებით, ანდა ვის ვართმევთ
ზეცას, მიწა-წყალს, ენას ან რწმენას.

და ერთადერთი, თუ კი რამ გვმართებს,
ეს არის ბრძოლა უკეთეს დღისთვის,
მამულს იმედი რომ გავუმართლოთ
და ვიყოთ მისი შვილობის ღირსი.

მისი და მხოლოდ მისი გვაქვს ვალი,
მას ვეწირებით წმინდას, სხივნათელს...
სხვა არავისთან მიგვიძღვის ბრალი,
ღმერთო, შენ უწყი ჩვენი სიმართლე!



მოლოდინი. კახა ჩხატარაიშვილის ფოტო.

## მოჭირნახულე

### პეტრე ჭაბუკიანის დაბადების 100 წელი

● **გარდასულ ჟამთა ცოცხალი მემატიანე იყო პეტრე ჭაბუკიანი, ჩვენი კულტურული წარსულის საფუძვლიანად მცოდნე და მოჭირნახულე. პატრიოტმა მამულიშვილმა ჭაბუკობიდანვე მიიპყრო მეცნიერთა და საზოგადოებრიობის ყურადღება.**

ტარტუს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ პეტრე ჭაბუკიანი ქუთაისში მოღვაწეობდა...

გუშინდელივით გვახსოვს იგი ხელში წერაქვითა და ნიჩბით, მუდამ გატაცებით დაეძებდა წარსულის მატერიალური კულტურის ძეგლებს. გეოგრაფიის ყოფილი მასწავლებელი, მშობლიური მხარის მგზნებარე მოსიყვარულე მუზეუმებისათვის აგროვებს უძვირფასეს პალეონტოლოგიურ კოლექციებს. მისი თავდაუზოგავი შრომით ბევრი რამ ისეთი ფასეული აღმოჩნდა, რომ უდიდესი მეცნიერული მნიშვნელობა მიეცა მრავალი პრობლემური საკითხის დადგენა-გადაჭრისათვის.

ჯერ კიდევ 50 წლის წინათ პეტრე ჭაბუკიანმა ქუთაისიდან 6 კილომეტრის დაშორებით, სათაფლიის მთის მიდამოებში, აღმოაჩინა კარსტული გამოქვაბული. მეტად ძნელია ამ მიწისქვეშა გვირაბ-სასახლის უბადლო სილამაზის აღწერა. სტალაქტიდების საოცარი შეზრდა ჰქმნის რთულ სკულპტურულ კომპოზიციებს, ხან ქათქათა ჭაღივით რომ ჰკიდია, ხან მინიატიურულ ტაძრებს ჰგავს, ხან ბროლის გამოქვაბულების ილუზიებს ქმნის. საჭირო იყო ასი ათასობით წელი, რომ მიწისქვეშა წყალს ასეთი კოლოსალური სამუშაო შეესრულებინა.

მეცნიერები დიდხანს ფიქრობდნენ, რომ თავისი ასაკით კავკასიის მთები შედარებით ახალგაზრდა იყო. ამ მხარის გეოლოგიური წარსულის გამოკვლევაზე მომუშავე ბევრმა მეცნიერმა ვერ შესძლო კავკასიაში აღმოეჩინა ცარცოვანი პერიოდის ნიშანწყალი. დაკვირვებულმა მკვლევარმა პეტრე ჭაბუკიანმა კი 1933 წლის უთოვლო ზამთარში სათაფლიის გვირაბის კალთებზე აღმოაჩინა გიგანტური ქვეწარმავლების — დინოზავრების ნაფეხურები, ქვეწარმავლებისა, რომლებიც ცარცოვანი პერიოდის დასაწყისში, ესე იგი სულ ცოტა 120 მილიონი წლის წინათ ცხოვრობდნენ; პეტრე ჭაბუკიანის მიერ აღმოჩენილი დინოზავრების ეს ნაკვალევი უნიკალურია და სიმრავლის მხრივ მას დღემდე მეტოქე არ გააჩნია. პეტრე ჭაბუკიანმა და მასთან ერთად მომუშავე სხვა სპეციალისტებმა მიაკვლიეს დინოზავრთა ჯოგის თათების 200 ნაკვალევს. გამოიანგარიშეს, რომ ზოგიერთი ქვეწარმავალი უზარმაზარი იყო — სიგრძით დაახლოებით 25 მეტრი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა აღიარა დინოზავრების ამ ნაკვალევის დიდი მეცნიერული ღირსება... აწ გადაშენებული გიგანტური ცხოველების ნაფეხურებმა მკვლევარებს საშუალება მისცა აღედგინათ ცარცოვან პერიოდში კავკასიის გეოლოგიური განვითარების ისტორია.

საგულისხმოა, რომ სათაფლიის [illegible] ფენობი 7 სახეობისა, მათგან ერთ-ერთ სახეობას მიკუთვნებული აქვს პეტრე ჭაბუკიანის სახელი.

მრავალმხრივ საყურადღებოა პეტრე ჭაბუკიანის მეცნიერულ-კვლევითი ღვაწლი. 1933 წელს მან ამოიცნო დავით აღმაშენებლის მიერ გელათში დაარსებული აკადემია, რომელიც მანამდე დაკარგულად ითვლებოდა. მანვე, 1924 წელს, ქუთაისის გარეუბანში, რომელსაც თეთრამიწა ეწოდებოდა, აღმოაჩინა ქვის ეპოქის ადამიანის სადგომი. ამის უტყუარი დასტურია კაჟისაგან გაკეთებული იარაღის სიმრავლე. ამ აღმოჩენას ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი საისტორიო მეცნიერებისათვის.

პეტრე ძალებს ცდიდა ლიტერატურათმცოდნეობაშიც. მახსოვს ერთი მისი საინტერესო ნაამბობი: „ჩემს ჭაბუკობაში „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანი არ არსებობდა, თუმცა იგი ყოველთვის იხსენიებოდა უმაღლესი სასწავლებლების აღმოსავლეთის ლიტერატურის კურსში და რატომღაც ყოველთვის დამახინჯებული სათაურით „ბარსოვაია კოჟა“, რაც ჯიქის ტყავს ნიშნავს. მე-19 საუკუნეში სათაურის გადაკეთების 16 ცდა ყოფილა, მაგრამ ვერცერთმა ვერ გაამართლა. უქდავი პოემის სათაური, საერთოდ ჩვენი გაგებით ვეფხისტყაოსანი ტარიელია, ადამიანი, რომელსაც ვეფხის ტყავი აცვია. ჩემი ვარიანტი პეტერბურგში გავუგზავნე ნიკო მარს. მეცნიერმა მომწერა, თარგმანი ზუსტია, და იგი ლიტერატურაში დამკვიდრდებაო... მართლაც ასე მოხდა“.

პეტრე ჭაბუკიანის ღვაწლი იცოცხლებს თაობათა გულში.

გივი მეფისაშვილი.

კონტაქტები

## მშობლიური ჰანგის მადლი

### საქართველო მეგობრებს იძენს

**იმ** დღეს ცხვარიჭამიის ბავშვთა ქალაქში დიდი ზეიმი იყო. განსაკუთრებით ბევრი სტუმარი ჰყავდა მწვანით შემოსილ მთის ფერდობზე გაშენებულ ახალ ბანაკ „იალნოს“. მიდამოს ბავშვების ჟრიამული ავსებდა, რაც კიდევ უფრო კარგ განწყობილებას უქმნიდა მოსულთ, დიდი ქალაქის ხმაურსა და მცხუნვარე მზეს გარიდებულთ, ბუნების მადლით შემკული ეს აგარაკი ნამდვილ სიამეს გვრიდა.

...ღელავდნენ პატარები, ღელავდნენ მათი პედაგოგებიც. იყო ოთახებში სირბილი, სიმღერის, ცეკვის ამა თუ იმ ილეთის განმეორება. და აი, კონცერტიც დაიწყო. ბევრმა ნიჭიერმა მოსწავლემ ისახელა იმ დღეს თავი, მაგრამ სტუმრებიცა და მასპინძლებიც მაინც მეტ ყურადღებას უცხოელ ბავშვებისადმი იჩენდნენ. ესენი გახლდათ უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების მიერ მოწვეული ბავშვები, რომლებიც აქ თანატოლებთან ერთად ისვენებენ, სწავლობენ სიმღერებსა და ცეკვებს, ქართულ ენას, ათვალიერებენ ქვეყნის ღირსშესანიშნაობებს, ასეთ ურთიერთობას ის დიდებითი მნიშვნელობა აქვს, რომ ბავშვობაში აღმოცენებული მეგობრობა, ურთიერთპატივისცემა ადამიანს მუდამ თან სდევს და ამ სიყვარულს იგი მთელი სიცოცხლე ინარჩუნებს.

ქართული წარმოშობის უცხოელმა პატარებმა თავიანთი ცეკვებითა და სიმღერებით ყველა მოხიბლა. დიდი გატაცებით ასრულებდნენ ისინი „ქართულს“, „აჭარულს“, „სამაიას“. მშვენიერი ქართულით წარმოთქვამდნენ ხალხურ ლექსებს, ხოლო მედეასა და თამუნიას მიერ შესრულებულმა „იავნანამ“, „ჩონგურმა“ ყველას ცრემლი მოჰგვარა. ოდესღაც ხომ მათი წინაპრებიც ასევე გულში ჩამწვდომი ხმით უმღეროდნენ თავიანთ პატარებს. უცხოელ ბავშვებთან მომუშავე პედაგოგებმა ლია ჩლაიძემ, მაყვალა ხარებავამ და ირინე ჯავახიძემ, რომლებიც მშობლიური მზრუნველობით თავს დაჰფოფინებდნენ პატარებს, ახლა სხვა გოგონები და ყმაწვილები ამღერეს. ისინიც ასევე თავიანთი ქართული სახელებით წარმოგვიდგნენ. ზოგი მათგანი უფრო თამამად იქცეოდა, რადგან უკვე მეორედ იმყოფებოდა ამ ბანაკში და მეგობრებიც მეტი ჰყავდა, ზოგი კი მორცხვობდა.

მაყურებელთაგან განსაკუთრებით დიდ კმაყოფილებას საზღვარგარეთიდან ჩამოსული ქართველი ქალები გამოთქვამდნენ. ისინიც აქ, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების მოწვევით იმყოფებოდნენ. აქვე იყო ამ საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ოთარ გიგინეიშვილი. კონცერტის დამთავრების შემდეგ სტუმარი ქალები ერთხანს კიდევ დარჩნენ თავიანთ პატარა თანამემამულეებთან, მერე კი, როცა მათი მოსიყვარულეობით გული იჯერეს, ავტობუსით თბილისისაკენ გამოვეშურეთ.

„გზაზე ისინი აღფრთოვანებით გვიამბობდნენ თბილისში გატარებულ დღეებზე, თავიანთ მოგზაურობაზე მცხეთაში, თელავში, იყალთოში. თან ქართულ სიმღერებს მღეროდნენ, „სულიკოს“ სცვლიდა „მოხევის ქალო, თინაო“, „საქართველოო, ლამაზო“, „გოგონი გოგონი“ და სხვა მრავალი.

**— ბატონო ოთარ! თქვენი საზოგადოების მოწვევით ამჟამად საქართველოში ეს ბავშვები და ქალები იმყოფებიან, რას გვეტყვით, შემთხვევით მოხდა ასე, თუ თქვენ, საერთოდ, სპეციალურად ამახვილებთ ყურადღებას ბავშვებსა და ქალებზე და პრაქტიკაში გაქვთ მათი ჩამოყვანა?**

— რასაკვირველია, ეს შემთხვევით არ გახლავთ. უცხოეთში მცხოვრები ქართველი ბავშვებისა და ქალების საქართველოში მოწვევას ჩვენი საზოგადოება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. ეს პრაქტიკაში უკვე თხუთმეტი წლის წინათ შემოვიღეთ და ყოველწლიურად სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოგვყავს გოგონები და ბიჭუნები, რომლებიც აქ ქართველ თანატოლებთან ერთად ატარებენ საზაფხულო არდადეგებს. ამ ხნის განმავლობაში ისინი სწავლობენ ქართულ ენას, ჩვენს ცეკვებს, სიმღერებს. მათთან პედაგოგებად სპეციალისტები არიან მიმაგრებულნი, რომლებიც უცხოელ ბავშვებს აცნობენ საქართველოს, მის ისტორიას, კულტურას. ამ უკანასკნელ ხანს მრავალი ბავშვი ჩამოვიყვანეთ სხვადასხვა ქვეყნიდან. ჩვენი მიზანია მათ ადრეულ ასაკიდან შეიცნონ და შეიყვარონ თავიანთი წინაპრების სამშობლო საქართველო.

ასევე დიდ ყურადღებას ვაქცევთ საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ ქალებს. ჩვენი მიზანია მათთან დავამყაროთ კავშირი, მოვიწვიოთ საქართველოში; გავაცნოთ ჩვენი ქვეყანა, რომ შინ დაბრუნებულნი ქართული კულტურის პროპაგანდისტები გახდნენ. ამასთან დიდ ყურადღებას ვაქცევთ და ვიწვევთ იმ უცხოელ ქალებსაც, რომლებიც ქართველთა დედები არიან. ისინი დიდ დაინტერესებას იჩენენ ჩვენი ქვეყნისადმი, სწავლობენ ქართულ ენას და თავიანთ ბავშვებსაც უნერგავენ საქართველოს სიყვარულს.

ასეთი დამოკიდებულებით ორივე მხარე ძალიან კმაყოფილნი ვართ და შედეგებიც კარგი გვაქვს. საქართველოში ნამყოფი ქართველები არ კარგავენ ჩვენთან ურთიერთობას, გვწერენ წერილებს, გვთხოვენ დახმარებას. იქ, უცხო ქვეყნებში ქმნიან ქართულ სათვისტომოებს, ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებებს, კლუბებს, ბევრ ქვეყანაში დაარსებულია ქართული ენის შემსწავლელი ჯგუფები. საქართველოს საზოგადოებები შექმნილია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, საფრანგეთში, ბელგიასა და სხვა ქვეყნებში. იქ ამ საზოგადოებებს აქვთ ქართული ბიბლიოთეკები. მათ ჩვენ ვამარაგებთ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ამსახველი წიგნებით, ქართველ მწერალთა ნაწარმოებებით, ქართული ხალხური სიმღერების გრამფირფიტებით, ყოველივე ეს ეხმარება ჩვენს უცხოელ მეგობრებს თავიანთ ქვეყანაში გაუწიონ პროპაგანდა საქართველოს, შორს გაიტანონ ჩვენი ქვეყნის სახელი და დიდება. ამას ახლა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ბევრი, ჩვენს მიმართ მტრულად განწყობილი ადამიანი, არასწორ ინფორმაციას ავრცელებს საქართველოში მომხდარ მოვლენებზე და ამით ცდილობს სახელი გაგვიტეხოს.

**— გარდა თანამემამულეების მოწვევისა, კიდევ რა მუშაობას ეწევით, ვინ იყვნენ წელს თქვენი სტუმრები.**

— წელს ჩვენი საზოგადოების მოწვევით საქართველოში 40-ზე მეტი კაცი ჩამოვიდა. მათ შორის, რასაკვირველია, არაქართველებიც, რადგან ჩვენს მიზანს შეადგენს არა მარტო უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კავშირის დამყარება, არამედ, აგრეთვე, უფრო ფართო სახის მოღვაწეობა, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მშვიდობიანი, კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება, რაც უპირველესად მეგობრების შეძენით იწყება. თბილისში ჩამოვიყვანეთ თურქეთის ექვსი მთავარი გაზეთის წარმომადგენლები, რომლებმაც შინ დაბრუნების შემდეგ თავიანთ გაზეთებში მთელი გვერდები მიუძღვნეს საქართველოს. ეს, რასაკვირველია, ძალიან სასიამოვნოა,

უცხოეთის დელეგაციებთან მუშაობის გარდა, საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებულ მეგობრობის საზოგადოებებს, პრესის წარმომადგენლებს, ვუგზავნით საქართველოზე მასალებს. ამ დღეებში ასეთი მასალების კრებულს ვაგზავნით შვეციის გაზეთებში გამოსაქვეყნებლად. თურქულ ჟურნალ „ვარლიკ“ მოვუმზადეთ სპეციალური ნომერი, რომელიც ქართული მწერლობისადმია მიძღვნილი.

დიდ დახმარებას გვიწევენ ქართული კულტურის პროპაგანდის საქმეში უცხოეთში მცხოვრები თანამემამულენი. ამ მხრივ განსვენებული მარტო ლევან საღარაძის დასახელება რადა ღირს, რომელმაც დიდი ამაგი დასდო „ვეფხისტყაოსნის“ არაბულ ენაზე თარგმნასა და გამოცემას.

ჩვენმა საზოგადოებამ აქტიური მონაწილეობა მიიღო თურქულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის საქმეში. სამწუხაროდ, ცნობილი თურქი პოეტი თახსინ სარაჩი, რომელიც მუშაობდა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის თარგმანზე და ნახევარი სამუშაო უკვე დასრულებული ჰქონდა, ამ ერთი თვის წინათ გარდაიცვალა. მას ხელთა ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის“ თურქული ზწკარედი, რომელიც ჩინებულად შეასრულა ქართულის ბრწყინვალე მცოდნემ ჰასან ჩელიქმა. ახლა ჩვენ უნდა მოვძებნოთ თურქ პოეტთა შორის ისეთი პიროვნება, რომელიც ბოლომდე მიიყვანს თახსინ სარაჩის ნამუშევარს.

**— წელს კიდევ თუ ელით სტუმრებს? ვინ ჩამოვა?**

— ველით არა ერთ დელეგაციას უცხოეთის ქვეყნებიდან. მოწვეული გვყავს 50 კაცი. მათ შორის იქნებიან არაქართველებიც, რომლებიც ჩვენი მეგობრები არიან.

**— მუშაობაში თუ გხვდებათ დაბრკოლებები?**

— როგორ არა, უპირველესად საჭიროა პროპაგანდისტული მუშაობის სრული რეკონსტრუქცია. მისი სულ ახალ ხარისხობრივ დონეზე აყვანა. მაგრამ, ეს არ მოხერხდება მანამ, სანამ ჩვენ არ გვეყოლება უცხო ენის კარგი მცოდნეები, რომლის დიდ დეფიციტსაც განვიცდით. სუსტია ჩვენი პოლიგრაფიული ბაზა, გვიჭირს უცხო ენებზე წიგნების, ბროშურების, ბუკლეტების გამოცემა. არადა, ახლა ეს ლიტერატურა მეტად გვჭირდება. უკანასკნელ ხანებში ნაბიჯები გადავდგით უცხოეთში არსებული ჩვენი არქიტექტურული ძეგლების მოვლა-პატრონობის საკითხის მოსაგვარებლად.

...ავტობუსი თბილისს მიუახლოვდა, ბატონ ოთართან საუბარს დიდი ყურადღებით უსმენდნენ ჩვენი ქართველი მეგობარი ქალებიც, რომლებიც ნიშნად პატივისცემისა და სიყვარულისა, დროდადრო ქართული ხალხური სიმღერებით გვატკბობდნენ. იმედია, ისინი თავიანთ ქვეყანაში ეცდებიან გაუმრავლონ საქართველოს მეგობრები.

ლარისა ხუგულური.

## სამი დღე არჰავში

**თურქეთის ქალაქ არჰავში მიმდინარეობდა კულტურისა და ხელოვნების ფესტივალი, რომელშიც პირველად მონაწილეობდნენ აჭარის წარმომადგენლები. გთავაზობთ ამ საკითხზე საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტის თამაზ გენძეხაძის რეპორტაჟს.**

### შეხვედრა

**სასაზღვრო** პუნქტთან, სარფში, თურქეთის მხარეს ჩვენ უკვე გველოდნენ მასპინძლები. როგორც კი ფეხი დავადგით მათს ტერიტორიაზე, გაისმა ტაში: „გამარჯობათ, ქართველებო!“.

არჰავი პატარა ქალაქია შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. მერია, რამდენიმე კერძო სასტუმრო, რესტორნები და კაფეები, მაღაზიები, სხვადასხვა ფირმის განყოფილებანი, ბაზარი, მეჩეთი რკალივით შემორტყმია გარს ცენტრალურ მოედანს, სადაც ათათურქის ძეგლია აღმართული. ცოტა მოშორებით — ჩაის ფაბრიკაა, რომლის სურნელება დიდ მანძილზე იფინება გარემოს. მაგრამ მთავარი, რა თქმა უნდა, ადამიანები არიან. მათს კეთილმოსურნეობას ყველგან ვგრძნობდით. ყოველ ჩვენგანს რამდენიმე კაცი დასტრიალებდა თავს. თარჯიმანი არ გვჭირდებოდა. მკვიდრი მოსახლეობის უმრავლესობა ქართველები (მათ შორის ლაზები) არიან, რომლებსაც შემოუნახავთ თავიანთი წინაპრების ენა.

### ფესტივალზე

**ფესტივალის** გახსნა გვამცნო სასულე ორკესტრმა, რომელმაც ქალაქის ქუჩებში ჩამოიარა. საღამოს კი სპეციალურად გამოყოფილ ადგილას ღია ცის ქვეშ დაიწყო წარმოდგენა. შუაღამემდე გაისმოდა თურქული მელოდიები ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსული ცნობილი მსახიობების შესრულებით. ჩვენები მეორე დღეს გამოვიდნენ. ქართველი მსახიობების ხელოვნების სანახავად ჩამოვიდნენ საპატიო სტუმრები ანკარიდან, სტამბოლიდან, თურქეთის სხვა დიდი ქალაქებიდან. თავის გამოსვლაში არჰავის მერი მეჰმედ ჩორბაჯი-ოღლი და ანკარის მერი მურათ ქარაიალ ჩინი გულთბილად მიესალმნენ ჩვენს დელეგაციას, რომელსაც ბათუმის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ასლან ჩაველიშვილი მეთაურობდა.

აჟღერდა ქართული და ლაზური სიმღერები, რომლებსაც ასრულებდნენ აჭარის მუსიკოსთა საზოგადოების ვოკალური ანსამბლი „ხიხანი“ თემურ დოლიძის ხელმძღვანელობით, საქალაქო აღმასკომის კულტურის განყოფილების ქალთა კვარტეტი, აჭარის ტელევიზიის ქალთა ტრიო. მათ ენაცვლებოდა მგზნებარე ლირიკული და სახუმარო ცეკვები აჭარის მუსიკოსთა საზოგადოების ქორეოგრაფიული ანსამბლის (ხელმძღვანელი — თამაზ ბეჟანიძე), ბათუმის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის ქორეოგრაფიული ანსამბლის (ზაურ ლაზიშვილი და ალექსი მელუა) შესრულებით. მთელი პროგრამის ხელმძღვანელია გურამ ქვირია.

კონცერტის შემდეგ მაყურებლებმა, მათ შორის კალიფორნიელ ამერიკელთა ჯგუფმა, რომლებიც თურქულ ფოლკლორს სწავლობენ, დიდი ოვაცია გაუმართეს ქართველებს. მასპინძლების თხოვნით მეორე დღეს დამატებითი კონცერტი გაიმართა.

ფესტივალის პროგრამაში იყო ბათუმელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენის ორგანიზაცია. ფერწერის თაყვანისმცემელთ უჩვენეს ხასან ინაიშვილის, შოთა ზამთარაძის, ვაჟა ბჟალავას, ნოდარ მგელაძის, სიმონ ართმელაძის, ჯუმბერ ჰანიშვილის, ბესო კალანდაძისა და სხვათა 30 ნაწარმოები.

### გამოთხოვება

**თუ** ცენტრალურ მოედანზე შეკრებილთა რიცხვით ვიმსჯელებთ, იგი უფრო პირველ შეხვედრას ჰგავდა. ჩვენ კვლავ ადგილობრივი მკვიდრნი გვეხვივნენ გარს, მაგრამ უკვე კალმისტრებით, ბლოკნოტებით, უბის წიგნაკებით, სავიზიტო ბარათებით აღჭურვილნი. რამდენიმე წუთის შემდეგ კი მათ ხელთ ეპყრათ ქართული წიგნები, ფირფიტები, სუვენირები, სამკერდე ნიშნები... სტუმრები მადლობას უხდიდნენ არჰაველებს გულთბილი მასპინძლობისათვის.

შინ მომავალს კვლავ გამახსენდა არჰავის მერის მეჰმედ ჩორბაჯი-ოღლის სიტყვები: „ეს ფესტივალი ჩვენს ხალხს, ჩვენს სახელმწიფოს სასარგებლო შედეგს მოუტანს“.

კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა ჩვენი ქვეყნების კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცების გზაზე.

სტიქია და ადამიანები

## კოკისპირული წვიმა ლენტეხში

**უამინდობით** შემოვიდა წლის მერვე თვე ლენტეხის რაიონში. პირველ აგვისტოს დაწყებული კოკისპირული წვიმა 12 საათი გაგრძელდა. სტიქიამ დაანგრია საზოგადოებრივი შენობები, საშიშროების გამო მოსახლეობის ნაწილმა დატოვა საცხოვრებელი სახლები და გაიხიზნა. რამდენიმე ათეულ ჰექტარზე დაიტბორა სათიბები და საზოგადოებრივი ფართობები, მოიშალა ელექტრომეურნეობა და სატელეფონო კომუნიკაციები, 30 კილომეტრის მანძილზე წაილეკა გზა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ხელედის სასოფლო საბჭოს სოფლებში. საბედნიეროდ, ადამიანების მსხვერპლი არ არის.

მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები, სტიქიით მიყენებული ზარალი ზუსტდება.

ვაჟა თევდორაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

## კომისია მუშაობს

**წალენჯიხის** რაიაღმასკომთან შეიქმნა კომისია, რომელიც დაადგენს აქ სტიქიით გამოწვეული ზარალის ოდენობას.

ამინდი არ ანებივრებდა აქაურებს უკანასკნელი თვის განმავლობაში. ხშირად ქროდა ძლიერი ქარები და კოკისპირულად წვიმდა. 31 ივლისს ღამით თქეში მოვიდა, რის შედეგადაც ადიდდა მდინარე ჭანისწყალი. დაზიანდა სანაპირო ნათესები, გზები, ხიდები. განსაკუთრებით ძლიერი ნგრევა გამოიწვია სტიქიამ სოფლებში მიქავაში, ჯგალში, ობუჯში და სხვაგან. დაიტბორა რაიონული ცენტრის ქუჩები, რომელთაგან ბევრს შეკეთება სჭირდება.

წყალდიდობამ ზიანი მიაყენა ჩხოროწყუს რაიონის მეურნეობებსაც.

— პრაქტიკულად დაიღუპა მთელი ჭალის ნათესები, — თქვა ჩხოროწყუს რაიაღმასკომის თავმჯდომარემ გურამ თოდუამ. — ეს დაახლოებით 500 ჰექტარი მიწებია. გადარეცხილია გზები, დანგრეულია ხიდები. წინასწარი გამოანგარიშებით საერთო ზარალი რაიონში 1,5 მილიონ მანეთს აღწევს.

ახლა წყლის დონე დასავლეთ საქართველოს მდინარეებში კლებულობს და ნორმას უახლოვდება.

(საქინფორმი.)

## სპორტის ამბები

### თუმცა ანგარიშის გათანაბრება შეიძლებოდა

● **ფეხბურთი.** უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეერთე ტურის მატჩი თბილისის „დინამო“ მოსკოველ თანაკლუბელებთან მინიმალური ანგარიშით (0:1) რომ წააგო, ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან. ამას დავუმატებთ იმასაც, რომ ეს ერთადერთი ბურთი თბილისელთა კარში გატანილია შეხვედრის 66-ე წუთზე დობროვოლსკის მიერ თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმით. აღსანიშნავია, რომ თბილისელებს მატჩის ბოლოს რამდენჯერმე ჰქონდათ ანგარიშის გათანაბრების შანსი, მაგრამ მოსკოველთა მეკარე ხარინი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. გუშინ გაიმართა ამ ტურის დანარჩენი შეხვედრები.

### მაქსიმალური შედეგით

**გოგონათა** და ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც პუერტო-რიკოს ქალაქ გუადელაში მიმდინარეობს, ნორჩმა მოჭადრაკეებმა პირველი ნახევარი დაამთავრეს. მეექვსე ტურში საბჭოთა სპორტსმენებმა განიმტკიცეს ლიდერის მდგომარეობა. ასპროცენტიანი შედეგით გუნდს სათავეში უდგანან ერევნელი ვლადიმერ აკოფიანი და კრასნოდარელი სერგეი ტიაპკოვი. 5,5 ქულა მოიპოვა კალინინგრადელმა ანია სეგალმა, 4,5 ქულა — ტუაფსელმა ვლადიმერ კრამნიკამ. ქართველი ქალიშვილების შედეგები კი ასეთია: ბათუმელ დიანა დარჩიას 5 ქულა აქვს, თბილისელ თეა ლანჩავას — 4,5, ქუთაისელ სოფიკო ნიკოლაძეს — 4, ხოლო ნათია ჯანჯღავას (თბილისი) — 3,5 ქულა. წინ კიდევ 5 ტურია.

**ჭადრაკი.** ამსტერდამში მიმდინარე საერთაშორისო ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებული ერთ-ერთი ტურნირის სამი ტურის შემდეგ მინსკელ ბორის გელფანდს და უნგრელ იუდიტ პოლგარს ქულათა მაქსიმუმი (3-3) აქვთ დაგროვილი. მათ ნახევარი ქულით ჩამორჩება თბილისელი ზურაბ აზმაიფარაშვილი. კრასნოიარსკელ ლევ ფსახისს და რიგელ ვლადიმერ ბაგიროვს 1,5-1,5 ქულა აქვთ.

**რესპუბლიკის მშენებელთა ყრილობის მონაწილეების საყურადღებოდ!**

**12 აგვისტოს, დღის 11 საათზე, მოწვეულია საქართველოს მშენებელთა კავშირის დამფუძნებელი ყრილობა.**

**დელეგატების რეგისტრაცია დაიწყება 12 აგვისტოს, დღის 10 საათზე, ჭადრაკის სასახლეში (თბილისი, ლენინის 87).**

საორგანიზაციო კომიტეტი.

## ილია კემულარია

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ენერგეტიკოსი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, 1947 წლიდან სკკპ წევრი ილია მიხეილის ძე **კემულარია**.

იგი დაიბადა 1911 წელს. 1931 წლიდან, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტის დამთავრების დროიდან, იგი მთელი არსებით იყო დაკავშირებული საქართველოს ენერგეტიკის განვითარებასთან. მუშაობდა რიონჰესის, აწჰესისა და ხრამჰესის მშენებლობებზე, იყო საქართველოში ენერგოსისტემის დაპროექტების ერთ-ერთი პიონერი.

1947 წლიდან პენსიაში გასვლამდე, 1979 წლამდე, ხელმძღვანელობდა „საქენერგოპროექტის“ ინსტიტუტს, რომელიც შემდგომში „ენერგოქსელპროექტის“ საკავშირო საპროექტო-საძიებო ინსტიტუტის საქართველოს განყოფილებად გადაკეთდა.

მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით დამუშავდა საქართველოს ენერგოსისტემის განვითარების სქემები, მსხვილი საქსელო ენერგოობიექტების საპროექტო დოკუმენტაციები. პარალელურად პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

პენსიაზე გასვლის შემდეგ, ი. კემულარია გარდაცვალებამდე მუშაობდა „საქენერგოში“ პროექტების ექსპერტიზის განყოფილების მთავარ სპეციალისტად. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

კარგი სპეციალისტისა და ამხანაგის, მოქალაქისა და მამულიშვილის ი. კემულარიას სახელი მუდამ დარჩება ახლობლების, მეგობრებისა და აღზრდილთა ხსოვნაში.

**„საქენერგოს“ საწარმოო გაერთიანება; „ენერგოქსელპროექტის“ საკავშირო ინსტიტუტის საქართველოს განყოფილება; „კავკასელექტროქსელმშენის“ ტრესტი; ენერგეტიკისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტი.**

## ამინდი

**დღეს** დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა, ზოგან ძლიერი, დასავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარსა და მთაში 25-30, მაღალმთიანეთში 25-28 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ზოგიერთ რაიონში ხანმოკლე წვიმა, ჭექა-ქუხილი, შესაძლებელია სეტყვა, დასავლეთის ქარი 9-14, ალაგ-ალაგ 17-22 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში 32-37, მთაში 28-33, მაღალმთიანეთში 24-29 გრადუსი.

**თბილისში:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ღამით ხანმოკლე წვიმა, ჭექა-ქუხილი, ჩრდილო-დასავლეთის ქარი 9-14, ქალაქის გარეუბნებში 17-22 მეტრი წამში, ტემპერატურა — 35-37 გრადუსი.

რედაქტორის მოადგილე
შ. უზრაველიძე.

## ტელევიზია — შაბათი, 5 აგვისტო

### თბილისი

**პირველი პროგრამა.** 9.35 — ქართული სატელევიზიო ფილმი „ჰამლეტ გონაშვილი“. 10.10 — ათლეტიზმი. 10.40 — ერთი მსახიობის თეატრი — გ. რჩეულიშვილი „სალამურა“ (განმეორებით). 11.05 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 11.25 — ხალხური შემოქმედება — საქართველო (გამეორებით). 12.00 — მოსწავლეთათვის — ჩვენი თვითმოქმედება. 12.20 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“, მხატვრული ფილმი „გაფრენა ურჩხულის ქვეყანაში“. 13.30 — „აუქციონის“ მისალები. 13.50 — აქტუალური ეკრანი. 14.35 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.40 — „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე“ — სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 15.25 — ერთი სიმღერის ფესტივალი. 15.30 — საინფორმაციო გამოშვება. 15.40 — მულტიპლიკაციური ფილმი. 15.50 — „გლობუსი“. 16.35 — თეატრალური პანორამა. 18.00 — საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება (მ.). 18.10 — ერთი სიმღერის ფესტივალი. 18.15 — პოეზიის ხუთი წუთი. 18.25 — კინოჟურნალი — „საბჭოთა საქართველო“. 18.35 — ხელოვნების ლექტორიუმი — ტინტორეტო. 19.05 — პ. ჩაიკოვსკის პირველი საფორტეპიანო კონცერტი. 19.45 — ჯადოსნური ეკრანი. 20.00 — მოამბე. 20.40 — დაბრუნებული სახელები — გრიგოლ რობაქიძის „გრაალის მცველნი“. კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ილუზიონი“.

### მოსკოვი

**პირველი პროგრამა.** 7.30 — „120 წუთი“. 9.35 — საოჯახო აკადემია. 10.05 — ბაიანისტთა კვინტეტის კონცერტი. 10.25 — წელიწადის დრონი. აგვისტო. 11.25 — მულტფილმი. 12.00 — მშობლების დღე შაბათია. 13.30 — კონცერტი. 14.20 — სოციალისტურ ქვეყნებში. 14.50 — აშკარა — დაუჯერებელი. 15.50 — ფილმი — ბავშვებს. „ონავრის ოინები“. 17.00 — მულტფილმები. 17.45 — კანადელთა ვოკალური ჯგუფის „ვარსკვლავების ხმების“ კონცერტი. 18.40 — დოკუმენტური ტელეფილმი. 19.20 — „პლანეტა“. საერთაშორისო პროგრამა. 20.20 — ვასილ შუქშინის ფილმები და როლები. „უცნაური ხალხი“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „თოჯინების თეატრის სამყარო“. მე-2 გადაცემა. 23.30 — „მუსიკალურ რინგზეა“ „მუზიკ სამიტი“.

**მეორე პროგრამა.** 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სოფლის საათი. 10.15 — უსაფრთხო მოძრაობისათვის. 10.20 — მხატვრულ-პუბლიცისტური ფილმი „ამბავი მარშალ კონევისა“. 12.00 და 14.00 — ახალი ამბები. 12.10 — მულტფილმი. 12.20 — ფილმ-ოპერა „ალექსანდრუ ლეპუშნიანუ“. გ. მუსტის მუსიკა. 13.55 — რეკლამა. 14.10 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „პილიგრიმის“ კაპიტანი“. 15.40 — ესტონეთის სსრ სახტელერადიო. ახალგაზრდა ხელმძღვანელთა კლუბი. 16.10 — გვიჩვენებენ ჩვენი ქვეყნის თეატრები. 18.00 — შინაგან საქმეთა სამინისტრო გვატყობინებს. 18.10 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა“. 18.55 — უკრაინის სსრ სახტელერადიო. „მრავალშვილიანი მამის მონოლოგი“. 19.30 — მძლეოსნობა. ევროპის თასი. შესვენებისას — 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მხატვრული ტელეფილმი „ცირკის თაღებქვეშ“. I და II სერია. 0.55 — ექო: ერთი კვირის ამბები.

КОММУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 10476 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის ქ. 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14